

1199/113-532

საქართველოს
კომუნისტური
ბიბლიოთეკა



ბურჯი ეროვნებისა

1997
წელი

3(20)

მარტი

● BURJI EROVNEBISA

● ფასი 40 თეთრი

ქართველის დედას

ქართველის დედაო! ძუძუ ქართველისა
უწინ მამულსა უწრდიდა შეიღსა;
დედის ნანახთან ქვითინი მთისა
მას უმზადებდა მომავალ გმირსა...
გაპქრა ის დროცა!.. დიდმა ნაღველმა,
კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა,
სრულად მოგიკლა სიცოცხლის ძალა,
თვით შენი შეილიც ჩრდილად შესცვალა.
მიოხარ, - სადღაა მამა-პაპური
მხნეობა, სმალი, მკლავი ქველური,
სახელისათვის ამაყი თრთოლა,
მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა?
მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ სელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ესლა სხვა ვარსკვლავს.



ჩვენ უნდა ჩვენი ვშვით მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...
აქ არის, დედავ, შენი მაღალი
დანიშნულება და საღმრთო ვალი!
აღზარდე შეილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ სმარობდე ქრისტესა მცნებას,
შთაბგონებდე კაცთა სიყვარულს,
მშობას, ერთობას, თავისუფლებას,
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...
მენდე, მიიღებს ნერგს, შენგან დარგულს,
და მოგვცემს ნაყოფს, ვით კაცი კაცურს.
დედავ! ისმინე ქართველის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შეილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ქეშმარიტება,
უკან პრჩეს კვალი განათლებული.

ილია ჭავჭავაძე



ჩვენი ანა
ქართული

➔ გვ. 5,12

აღიღებს სული
ჩვენი უფალსა

გვ. 3-4 ←

აბიჭურიანთის
ფურცელი

➔ გვ. 7-10

აი, ისტორია

გვ. 11 ←

რას ვასწავლით
და როგორ?

➔ გვ. 13

„ანაბანა“

გვ. 15 ←

პრობლემა

შეაღწეოთ სსსრკ-ის უმცირესი ეთნიკური ჯგუფების უფლებების დაცვას

გამსარიონ
 ჯორჯიანის
 სასოფლო-სამეურნეო
 მეცნიერებათა აკადემიის
 გეოგრაფიული ინფორმაციის
 ცენტრის მდიანი

იოსებ ტყეშელაშვილი
 ლიტერატორი

მირიან ხაჩიკიანი
 რედაქტორი

ციცილია (ნინო)
 კვანტალიანი,
 მარინე კიკნაძე,
 ნანა ლომიძე,
 რამაზ ქურდიანი,
 ნინო ტყეშელაშვილი

მხატვრული რედაქტორი

ილია ტყეშელაშვილი
 რედაქციის გამგე

მანია კობახიძე
 სარედაქციო საბჭო

გენადი ბურჯიანი
 კანცელარია

ლევან გვარამია
 ქუთაისის დასახლებული
 კომუნალური სამსახური

რუსუდან ლანდია,
 ნანა ურთაშვილი,
 ჭაბუკა ქორია,
 მიხეილ ქურდიანი,
 გიორგი წიბახაშვილი,
 თამაზ ხმაღალი,
 ნინო ჯორჯიანი

მორიხე რედაქტორი

ნინო კვანტალიანი

გაზეთი
 „ბურჯი ეროვნებისა“
 რეგისტრირებულია
 საქართველოს ოკუპაციის
 სამინისტროში, 1686.
 მისამართი:
 პ. ინგოროვას ქ. №8,
 ტ. 99-80-46
 ინდექსი 76016

ჩვენ, უბრუნდებით, ქართული ენა და ლიტერატურა გეინტერესებს; საგანი, რომელიც თითქმის ყოველთვის იყო საგამოცდო საგანთა სიაში ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის ნებისმიერ ფაკულტეტზე დღეს აღარ არის ასე-არასახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებში ამ მხრივ სრული განუკითხაობა; რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ლიცენზიის გაცემისათვის მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში გამოცდის ჩაბარება ანდა შემდგომ ამ საგნის სწავლება ერთ-ერთი აუცილებელი პირობა არ არის.

რა ხდება სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლებში?

საბედნიეროდ, უმეტეს შემთხვევაში ტრადიციული ვითარება შენარჩუნებულია.

ამ შემთხვევაში ჩვენ დასმული საკითხი გეინტერესებს, თორემ როგორ ჩატარდეს, რა მეთოდით, ეს არაერთგზის ყოფილა დისკუსიის საგანი; ვფიქრობთ, „როგორ?“ – ეს სხვა თემაა; ამჯერად ჩვენთვის მთავარია საკითხი – საერთოდ არის თუ არა საჭირო მისაღები გამოცდები.

ზოგს საკითხის ამგვარად დასმა ალბათ გააკვირვებს – მაგას რა კითხვა უნდაო? არაა ასე მარტივად საქმე: 1995 წელს ქუთაისის უნივერსიტეტმა მისაღები საგანთა ნუსხა გაამარტოვა: აბიტურიენტი აბარებდა მხოლოდ ერთს – სპეციალურ საგანს. ასე რომ, ქართული ენა და ლიტერატურა მხოლოდ ფილოლოგიის ფაკულტეტზე ბარდებოდა... ასე ჩატარდა მისაღები გამოცდები 1996 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფასიან სექტორზე.

1996 წელს ქუთაისის მერიის ინიციატივას განათლების სამინისტროს კოლეგიამ მხარი დაუჭირა და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველა ფაკულტეტზე უმაღლესი ხარისხის მოხდა. ამ ექსპერიმენტის აუკარგზე ბევრი ითქვა და ითქმება კიდევ: ფაქტია, ინიციატივის ავტორები კმაყოფილნი არიან, რადგან 1997 წელსაც ამგვარად აპირებენ სტუდენტთა მიღებას ამ უმაღლესი სასწავლებელში...

თუ გაითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ჩვენში ყველა გაიღებულ და გამარტივებულ საქმეს მრავალი მიმბაძველი შეიძლება გამოუჩნდეს, უნდა ველოდეთ, რომ ეს ექსპერიმენტი ფართოდ გავრცელდება... შედეგი?

უმაღლესი ხარისხის სტუდენტებს რამდენიმე შეკითხვა დაუდგენიათ. ერთ-ერთი ასეთი იყო: დასახელებული თქვენი საყვარელი 10 მწერალი და 10 ნაწარმოები. მძიმე შედეგის წინაშე

აღმოჩნდით. იმეამდ ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო დღეები იყო და გამოკითხულია 20-25%-მა საუკეთესო მწერლად ივანე ჯავახიშვილი დასახელა (ერთ-ერთმა საუკეთესო ნაწარმოებად ამ „მწერლის“ ნაწარმოები – „მთვარის მოტაცება“...); საუკეთესო მწერალთა ნუსხაში აღმოჩნდნენ ნიკო ნიკოლაძე, გრიგოლ ხანძთელი და სხვანი... 10 მწერლის ჩამოთვლა ცხველამ ვერ შეძლო...

უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდით, როცა 10 თანამედროვე მწერლის დასახელება ვთხოვეთ: ანდა ილიას, აკაკის, ვაჟასა და გალაკტიონის 10-10 ნაწარმოების ჩამოთვლა დაევალებოდა...

მეტყვიან, ეს კურიოზული და ასეთი კურიოზები ყოველთვის იყო... მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ამჯერად საქმე გვაქვს არა შემთხვევით აბიტურიენტთან... არამედ სტუდენტთან – მომავალ ფილოლოგთან... როცა ამგვარად გასტუდენტებულ ახალგაზრდებს ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან ეპიზოდის გახსენება ვთხოვეთ, სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდით...

არ იფიქროთ, რომ ჩვენ ვინმეს დაევიწყოდეთ. პირიქით, გვადარდებს ეს...

მაგრამ პასუხი გეინტერესებს კითხვაზე **მშობლიური ენა და ლიტერატურა რომ არ იცის და თავისი ქვეყნის ისტორიაზე წარმოუდგენა არა აქვს, ამგვარი სტუდენტისაგან შეუძლებელი იქნება სპეციალისტის გაზრდას, XXI საუკუნეს რომ სჭირდება?**

მისაღები გამოცდები რა „შუაშიაო“ შეიძლება იკითხოს ვინმემ.

ჩვენდა საუბედუროდ, დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები დღეს სწავლობენ მხოლოდ იმ საგნებს, რომელთა ჩაბარებაც მოუხდებოდათ მისაღებ გამოცდებზე, ჩვენ რომ, სამწუხაროდ, მისაღები გამოცდები არის იძულების საშუალება, რომ ყმაწვილი წიგნთან მივიყვანოთ და ის ელემენტარული საკითხები ვასწავლოთ, რასაც მისაღები გამოცდების პროგრამები ითვალისწინებს!

სკოლა რომ თავის სიმაღლეზე იდგეს, სკოლა-დამთავრებულს ატესტატში ჩაწერილი შეფასების შესაბამისი ცოდნა რომ შექონდეს, მაშინ ეს პრობლემა აღარ დადგებოდა; მაგრამ, იშვიათი და ბედნიერი გამოხატვისის გარდა, დღეს სკოლებში დამამთავრებელი კლასებში სწავლა არაა! ეს ყველასთვის ნათელია...

თუ არ გვინდა, რომ უწიგნურობამ წაღვეოს ყოველივე თუ არ გვინდა, რომ XXI საუკუნემ შეგვარეგოს, მისაღებ გამოცდებს ნუ ვებტყვით უარს ამ ეტაპზე... დაფიქრდეთ ყოველივე ამასზე!

ადიდებს სული ჩემი უფალსა



საქართველოს ტელევიზია სხვადასხვა არხებითა და პროგრამებით ყოველდღიურად უჩვენებს ფილმებს. ზოგიერთ არხზე დილიდან საღამომდე მხოლოდ ვიდეოფილმებია. მათი ძირითადი თემებია ძალადობა, მკვლელობა, მრუშობა, ქურდობა, ყაჩაღობა და ა.შ. ეს საშინელებები იმდენად მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი, რომ ყოველი ასეთი ფილმი ბოროტმოქმედთა დამხმარე სახელმძღვანელო გეგონება. მრავალი ფილმის გმირები უღმობელი

თხოვნა ბელაჰიზიის მუშაკებს

მკვლევები, ქურდები, მრუში ქალები და ათასნაირი მატყუარები არიან. ყოველივე ეს ღვთის საწინააღმდეგო ქადაგება - მოკალი, იმრუშე, მოიპარე, ცილი დასწამე ეს ყველაფერი დაშვებულია, კარგია, ასე უნდა ცხოვრება!

ხშირად დაუფარავად უჩვენებენ სატანისტურ ფილმებს. ზოგ მათგანს საშინელებათა ფილმებს უწოდებენ. ზოგს კი - ფანტასტიკურს, ყოველი ასეთი ფილმი ძლიერად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე. განსაკუთრებით ბავშვებზე. მათ აზროვნებაზე, მსოფლმხედველობაზე, ცხოვრებისადმი მიდგომაზე, ეს ყველაფერი ბავშვის სულში ნელ-ნელა აღიბუჭდება და ადრე თუ გვიან გამოვლინდება.

საქართველოს ტელევიზია უკვე რამდენიმე წელია ყოველდღიურად უჩვენებს ამ ვიდეოფილმებს ჩვენ დღეს აშკარად ეხედავთ მათ ნაყოფს. ამ ფილმებზე

გაზრდილი ახალგაზრდები უმოწყალოდ კლავენ ერთმანეთს, ქურდობენ, ფულის გამოძალვის მიზნით საშინლად აწამებენ ადამიანებს.

ასეთი ვიდეოფილმების საყოველთაო ჩვენება არ შეიძლება!

ტელევიზიის ყველა მუშაკს, ეველას, ვინც არის დაკავშირებული ამ ფილმების ჩვენებასთან, ვთხოვთ დაფიქრდნენ, რის პროპაგანდას ეწვეიან, ეს ხომ ფაქტურად სატანიზმია! ისინი იქნებ არც უფიქრდებიან, რომ ამით ცოდვას ჩადიან ღვთისა და ქრისტის წინაშე მათაც ხომ პყაეთ შეიღებენ; ყოველივე ეს არც მათ მომავალს და არც მათ სულს წაადგება სასიკეთოდ.

- შეგნაწი ზუგაბი (ანთაძე)
- შეგნაწი ალექსანდრე (ბოლქვაძე)
- შეგნაწი კაპრი (ბარამიძე)
- შეგნაწი გუსარიანი (მენაბდე)
- შეგნაწი ღაშიში (ოსკაძე)

მაღე (25 თებერვალს, ახალი სტილით 10 მარტს) დიდი მარხვა დაიწყება, რომლის დროს ბეერი ქრისტიანი ემზადება საზიარებლად და მონანიებით, გაძლიერებული ლოცვითა და მარხვით მიიღებს წმინდა საიდუმლოს. დიდი მარხვისათვის ეკლესია ადრიდანვე გეამზადებს.

მეზვერისა და ფარისევლის კვირას ეკლესიაში სახარებიდან იკითხება იგავი, რომლითაც მაცხოვარი გვასწავლის ლოცვასა და მონანიებას; უბღები შეიღის კვირას წაკითხული იგავი კი გვასწავლის თუ როგორ დასცემს და დაამდაბლებს ცოდვა ადამიანს და მონანიების შემთხვევაში რა სიხარულით მიიღებს და შეიწყალებს მას ჩვენი ზეციერი მამა; სორციელის კვირას წაკითხული სახარება შეგვახსენებს საშინელ სამსჯავროს და თვღნათლივ დაგვანახებს ცოდვილისა და მართალი ადამიანის ხეღდრს; ყვეღვირის კვირას წაკითხული სახარება შენღობასა და მიტევებას გვასწავლის.

მეზვერისა და ფარისევლის კვირა

ამ დღეს ეკლესიაში წირვაზე იკითხება მეზვერისა და ფარისევლის იგავი. მაცხოვარი ამ იგავს იწყებს ასე: „ორნი კაცი აღვიღრდეს ლოცვად ტაძარსა მას; ერთი ფარისეველი და ერთი მეზვერე“ (ლუკა 18,10).

ფარისეველი ასე ლოცუღობდა: „ღმერთო, გმადღობ შენ, რამეთუ არა ვარ, ვითარცა სხუანი კაცი, მტაცებელ, ცრუ და მქმრუშე გინა ვითარცა ესე მეზვერე; ვიმარხავ ორ-გზის შაბათსა შინა და ათუღლსა შეგსწირავ ყოღისაგან მონაგებისა ჩემისა“ (ლუკა 18, 11-12).

მეზვერე მოშორებით დაღდა, თავდახრილი „რცემდა მკერღსა და იტყუღდა: „ღმერთო, მიღხინე ცოდვიღსა ამას“ (ლუკა 18,13).

მაცხოვარი ბრძანებს, რომ მეზვერე თავისი ლოცვით გამართღდა და განმართღებული დაბრუნღდა სახღში. ფარი-სეველი კი - არა: „რამეთუ ყოვეღმან რომელმან აღიმაღღოს თავი თუ სი, იგი დამდაბღდეს; და რომელმან დაიმაღღოს თავი თუ სი იგი ამაღღდეს“ (ლუკა 18,14).

ლოცვით ფარისეველი იქებღდა და განაღღებღდა საკუთარ თავს, შეურაცხუღღდა სხვას, ღვთის წინაშე კი მარხვითა და შესაწირის გაცემით თავმომწონღობღდა.

დიდი მარხვის წინ

სინამღვიღეში იგი სხვათა დასანახად მარხუღობღდა და გასცემღდა შესაწირავს. მისი სიტყვაც და საქმეც ფარისევღღური იყო. ჭეშმარიტი ლოცვა და მონანიება კი მეზვერის ლოცვის დარია. თავისი ცოდვებით დამძიმებული მეზვერე არ იკადრებღდა წინ დგომას და ერთიანად შეწუხებული და დამდაბღებული ამბობღდა: „ღმერთო, მიღხინე ცოდვიღსა ამას“. იგი თავს არ იმართღებღდა, მხოლოდ თავისი ცოდვების გამო სწუხღდა და ტიროღდა.

ეს იგავი გვასწავღღის, ვეკრძალღებოდეთ ფარისევღღურ ცოდვას და სიმართღითა და მონანიებით ვბაძავღღეთ მეზვერეს.

„ეიტყვი პირ-უთენღღად, ჩვენ მცხოვრებთა ამ ქვეყანისათა გვაქეს საკუთარი მიღრეკიღღება ფარისევღღობისადმი. ეს გამოჩნღღება უმეტესად მით, რომელ ხშირად სიტყვანი ჩვენნი არიან წინააღმღღეგნი საქმეთა ჩვენთა, და გარეშობა ჩვენი არ ეთანხმება შინაგანსა ჩვენსა. ის მართალია, რომელ ყოველ მცხოვრებთა ჩვენის ქვეყანისათა... აქესთ და იღღიან უმეტესი ზრდიღღობა და თავაზობა, ვიდრე სხვათა კავკასიის მცხოვრებთა, გარნა ისიც უნდა აღვიაროთ, რომელ ამ ზრდიღღობას და თავაზობასა ხშირად გაერევა ფარისევღღობა. ვგონებ, რომ უმჯობესი და ყოვეღღად საქები ზრდიღღობა ის

ადიდებს სული ჩემი უფალსა

3 არის, როდესაც კაცი იტყევა გულწრფელად: ვიცნოთ, ძმანო, თავნი ჩვენნი: ნუ ვიქნებით პირმოთენი ნურადღეს, ნურცა თავთა წინაშე ჩვენთა, ნურცა წინაშე სხუთთა. არამედ გულ-წრფელად აღუაროთ ღმერთსა ნაკლულევანებანი ჩვენნი, ვევედროთ ღმერთსა, რათა მადლითა თვისითა განაჯაროს და აღმოჰვხერას ყოველი ფარისევლობა გულთა შინა ჩვენთა და მოგვეკვს სული წრფელი და მართალი. **ცაბრიელ ეპისკოპოსი**

უძლევი შვილის კვირა

ეს კვირა მოგიწოდებს სინანულისაკენ, ცოდვების მონანიებისაკენ. ამ დღეს წირვაზე იკითხება უძლევი შვილის იგავი.

ერთ კაცს ორი ძე ჰყავდა. უთხრა უმცროსმა ვაჟმა მამას: „მამაო, მომეც მერომელი მხუდების ნაწილი სამკუდრებელისაჲ“ (ლუკა 15.12). გაუყო მას მამამ საცხოვრებელი, წაიღო ვაჟმა მისი წილი, წაიღო „შორსა სოფელსა“ და არაწმინდა ცხოვრებით მოკლე დროში განაბნია მთელი ქონება. მალე იქ შიმშილობა დაიწყო, მოაკლდა მას სარჩო და ერთ იმ სოფელს კაცს დაუდგა მოჯამაგირედ, ღორების მწყემსად. იგი ისეთ გაჭირებაში ჩავარდა, ღორების საჭმელი ენატრებოდა. მაგრამ არავინ აძლევდა. ბოლოს დაფიქრდა ვაჟი, ჩაუკვირდა თავის მდგომარეობას, გადაწყვიტა მოეწინებინა მამის წინაშე დანაშაული და ისევ მის გვერდით ყოფილიყო „ვითარცა ერთი მუშაკთაგანი“. დაბრუნდა შვილი მამასთან და უთხრა: „მამაო, ვცოდე ცათ მიმართ და წინაშე შენსა და არღარა ვარ მე ღირს წოდებად ძედ შენდა“ (ლუკა, 15.21). მამას შვილის დაბრუნება ძალიან გაეხარდა, მონებს უბრძანა: „გამოიღეთ სამოსელი პირველი და შეჰმოსეთ მას და შეაცუთ ბეჭედი კელსა მისსა და წამლნი ფერჯთა მისთა“ (ლუკა 15.22).

მამამ მასთან მიბრუნებულ შვილს დაუკლა „ზუარაკი ჭამებული“ და ღვინო გაუმართა. უფროსი ვაჟი იმ დროს სხვაგან იყო: დაბრუნებულს გაუკვირდა სიხარულისა და განცხრომის ხმა რომ შეესმა: ღვინის მიზეზი იკითხა და ძალიან გაბრაზდა, სახლში შესვლა არც

უნდოდა. მამა გამოვიდა და ღოცავდა მას. განრისხებულმა ვაჟმა კი უთხრა: მე ამდენი წელი შენ გემონებოდი, შენს მცნებებს არ ვუხევედი და არასოდეს მოგიცია ჩემთვის ერთი თიკანი, მეგობრებთან ერთად რომ გამეხარა. ეს შენი ძე კი, რომელმაც შეჭამა საცხოვრებელი შენი მეძავებთან, მოვიდა თუ არა „დაუკალ მას ზუარაკი იგი ჭამებული“. მამამ ასე უპასუხა მას: „შვილო, შენ მარადის ჩემ თანა ხარ, და ჩემი ყოველი შენი არს. ხოლო აწ მხიარულებაჲ და სიხარული ჯერ-არს, რამეთუ ძმად ესე შენი მომკუდარ იყო და განცოცხლდა, წარწმედულ იყო და იპოვა“ (ლუკა 15. 31-32).

იგავიდან მამა, რომელსაც ორი ძე ჰყავდა თვით ღმერთს აღნიშნავს. უფროსი ვაჟი მართალი და ღვთისმოყვარე კაცია, რომელიც მუდამ მამასთან ერთად არის, მის მცნებებს ადასრულებს, ხოლო უმცროსი ვაჟი ცოდვილ კაცს ნიშნავს, რომელიც მიიღებს რა ღვთისაგან თავის სამკვიდრებელს - ჭკუას, გონებას, სულსა და ხორცს თვისას, განეშორება ზეციურ მამას და ცოდვილი ცხოვრებით დაღუპავს და განაივებს ყველაფერს, მაგრამ ეს უძლევი შვილი „მოეყო თავსა თვისსა“, არ მოეწონა ცოდვილი ცხოვრება, მისი მონანიებისა და დატევების სურვილი გაუჩნდა და დაბრუნდა მამასთან. ზეციერი მამა უძლევი შვილის დარად მასთან მიბრუნებულ ყველა ცოდვილს სიხარულით მიიღებს და შეიტკბობს.

უძლევი შვილის კვირას ამ იგავით წმინდა ეკლესია გვასწავლის, რომ ჩვენც (ვინც უფრო უძლევი შვილს ვემსგავსებით ჩვენი ცოდვილი ცხოვრებით) გაგვიჩნდეს მონანიების სურვილი, დაეთრუნოთ ცოდვები და სულიერად მივიქცეთ ჩვენი ზეციერი მამისაკენ.

უძლევი შვილის კვირა მსგეფსია. ოთხშაბათი და პარასკევი ხსნილია.

ხორციელის კვირა

უძლევი შვილის კვირის შემდეგ დგება ხორციელის კვირა. ოთხშაბათს და პარასკევს არის მარხვა, დანარჩენი დღეები ჩვეულებრივად ხსნილია. **ხორციელის კვირა** ჰქვია იმიტომ, რომ დიდი მარხვის წინ ეს არის ბოლო კვირა, როცა შეიძლება ხორცის ჭამა.

ხორციელის შაბათი **მიცვალებულთა მონსწიების დღეა**. მიცვალებულებს უკეთდებათ ჩვეულებრივი სახსნილო საკურთხი.

მარხვის დაწყების წინ, ხორციელის

კვირას წირვაზე კიდევ ერთხელ წარმოვიდგინოთ მცორედ მოსვლის სურათი, საშინელ სამსჯავროს, რა ელის ცოდვილ კაცს და რა აცხოვნებს მართალს. „და წარვიდეს ესენი სატანჯველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი - ცხოვრებასა საუკუნესა“ (მათე 25.46) - ბრძანებს უფალი.

ამ დღეს წაკითხული სახარებით ნათელია საუკუნო ცხოვრების დამკვიდრების გზები.

ყველიერის კვირა

ხორციელის კვირას მოსდევს ყველიერის კვირა. არის მსგეფსი, მთელი კვირა ხორცის გარდა ყველანაირი საკვებით ხსნილია.

ყველიერის კვირას წაკითხული სახარება შენდობისა და მიტევებისაკენ მოგიწოდებს. „რამეთუ უკუეთუ მიუტევნეთ თქვენ კაცთა შეცოდებანი მათნი, მოგიტევნეს თქვენცა მამამან თქვენმან ზეცათამან. ხოლო უკუეთუ არა მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი მათნი, არცა მამამან თქვენმან მოგიტევნეს თქვენ შეცოდებანი თქვენნი“ (მათე, 6. 14-15).

ამ დღეს **შენდობის კვირასაც** უწოდებენ, რადგან დიდი მარხვის დაწყების წინა დღეს ქრისტიანები ერთი მეთრისაგან შენდობას ითხოვენ და გულწრფელად მიუტევენ ერთმანეთს შეცოდებებს.

უკვე მეორე დღიდან, ორშაბათიდან (წლეუანდელ წელს ეს დღე 25 თებერვალი, ახალი სტილით 10 მარტია) იწყება **დიდი მარხვა**, რომელიც 7 კვირას გრძელდება. და ბოლოს განწმენილი და გაძლიერებული ქრისტიანები სიხარულით ეკებებიან ბრწყინვალე აღდგომას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.



ჩვენი ენა ქართული

სახელთა მრავლობითი რიცხვის წარმოება ქართულში, როგორც ცნობილია, ორგვარია: **ებანი** და **ნარ-თანანი**. — ებ აწარმოებს მრავლობითის ფუძეს ყველა ბრუნვაში, ნ — ორში (სახელობითსა და წოდებითში). ბრუნვათა ის ნიშნები, რომლებიც მხოლოდობითში გვაქვს, ამ აფიქსებით წარმოქმნილ ფუძეებს დაერთვის. დაცულია აგლუტინაციის პრინციპი. **თ** ბოლოსართი უპირისპირდება დასახელებულ აფიქსებს და მრავლობით რიცხვსაც გამოხატავს და რამდენიმე ბრუნვასაც დარღვეულია აგლუტინაციის პრინციპი, რაც მეორეულ მოვლენად ითვლება: იგი ისტორიულად მხოლოდ რიცხვის ნიშანი იყო, როგორც ეს გვაქვს ზმნის ფორმებში. ვართ, ხართ, ვწერთ, წერთ.

ოთა) ძველ ქართულში მოქმედებითსა და ვითარებითსაც დაერთოდა, რაც, როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურიდან არის ცნობილი, პირველად ნ. მარს აქვს აღნიშნული. თ. შარაძენიძისა და ი. იმნაიშვილის გამოკვლევების მიხედვით ნათლად არის ნახევნები, რომ თანიანი მოქმედებითი და ვითარებითი ძველ ქართულში იშვიათად გვხვდება, განსაკუთრებით იშვიათია ამ ბრუნვათა უთანდებულო ფორმები. თანაც **ოთა)** მრავლობით რიცხვსაც გამოხატავს და ხუთ ბრუნვასაც. მაშასადამე, „ნარ-თანან მრავლობითს სამი ფორმა ჰქონდა: ერთი- სახელობითისათვის (კაცნი), მეორე- წოდებითისათვის (კაცნო), მესამე - ყველა დანარჩენათათვის (კაცთა); გარდა წრფელობითისა, რომელიც მას აკლდა“ (ა. შანიძე).

ცნობილია ისიც, რომ თანიანი მრავლობითის მოქმედებითი და ვითარებითი ძველ ქართულში ბრუნვის ნიშანთა დართვითაც გვხვდება (ჭაბუკთაჲთ, მთათაღმდექ).

თანანი მრავლობითის მოქმედებითი და ვითარებითი გვხვდება საშუალ ქართულშიც. ასეთი ფორმები ნახმარია არა მარტო საშუალო ქართულის ადრინდელ ძეგლებში, არამედ მე-17 და მე-18 საუკუნეების მწერალთა ნაწერებშიც. მაგ.: წამოვი- და მეფე არა წამოილო რა **განძთაგან** (საბა); ჩანგი **ხელთგან** გააგლო (საბა); საფლავთაგან აღადგინე მკედრეთით ლაზარეო (დ. გურამიშვილი) აბელის სისხლის დაღადი **ცათამდის** აღონდებულა (დ. გურამიშვილი).

ასე იყო წინათ, ძველსა თუ საშუალო ქართულში. ახალში? თანამედროვე ქართულში? დამკვიდრებულია ის აზრი, რომ ახალ ქართულში **ნარ-თანან** მრავლობითს მხოლოდ ხუთი ბრუნვა აქვს: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი და წოდებითი, ხოლო მოქმედებითი და ვითარებითი **თანანი** „მრავლობითით არ გადმოიცემა, მას ებანი ენაცვლება“ (არნ. ჩიქობავა), რომ ეს ორი ბრუნვა „მხოლოდ **ებ**“ იან მრავლობითს მოუპოვება“ (ა. შანიძე). ეს აზრია გატარებული სხვა ავტორთა შრომებშიც და ასედაც ისწავლება საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

ეჭვი დამკვიდრებული აზრის სიზუსტისადმი აღვიძრა ვაყას მოთხრობებში ერთი და იმავე მნიშვნელობით „თვალთაგან“ და „თვალებიდან“ ფორმათა გვერდიგვერდ ხმარებამ. გამოირკვა, რომ დამკვიდრებული აზრი შემდეგი სახის კორექტივს მოითხოვს: **თანანი მრავლობითის თანდებულებანი მოქმედებითი**

და **ვითარებითი მებ-ნაკლებად გვხვდება ახალ ქართულშიც**. **გან** თანდებულები ორ ბრუნვას დაერთვის - ნათესაობითსა და მოქმედებითს. მხოლოდობითსა და **ებან** მრავლობითში ამ ბრუნვათა **გან** თანდებულებანი ფორმები ერთმანეთისაგან კარგად არის გარჩეული. **თანანი** მრავლობითის ნათესაობითი და მოქმედებითი ერთნაირია, ე.ი. ფორმა საზიაროა, სინტაქსური ფუნქცია-სხვადასხვა. მაგ.: ძველად დადგეს კოშკი ძველებისა, რომელიც მოკრიბეს ღრე-კლდეებში **მხვეცთაგან გამოხრული** (ვაჟა); [ქედანს] **თვალთაგან** დაპაღუბით ცრემლი **ჩამოსდიოდა** (ვაჟა); „მხვეცთაგან“ და „თვალთაგან“ ფორმით ერთმანეთისაგან არ გან-სხვავდება, ნამდვილად კი სხვადასხვა ბრუნვებია. სხვადასხვაა მათი სინტაქსური ფუნქციაც:

ლო კვავაკე
თანანი მრავლობითის მოქმედებითი და ვითარებითი ახალ ქართულში

„მხვეცთაგან“ (=მხვეცებისაგან) ნათესაობითი ბრუნვაა. სინტაქსური ფუნქციის მიხედვით ქვემდებარისებრი პირმიუშართავი დამატება. „თვალთაგან“ (=თვალებიდან) მოქმედებითი ბრუნვით გადმოცემული ადგილის გარემოებაა. „თვალთაგან“ რომ ნამდვილად მოქმედებითი ბრუნ-ვაა, ამას ნათლად ადასტურებს „ჩამოსდიოდა“ ზმნასთან ვაჟას მიერ

- იმავე შინაარსის გადმოსაცემად **ებანი** მრავლობითის **გან** თანდებულებანი მოქმედებითის ხმარება. მაგ.: [არწივს] **თვალებიდან** დაპაღუბით ცრემლები **ჩამოსდიოდა** (ვაჟა); [კურდღელს] **თვალებიდან** ცრემლი **ჩამოსდიოდა** (ვაჟა).
- თქმული რომ უფრო სარწმუნო გახდეს, დამატებით დავასახელებთ რამდენიმე მსგავს მაგალითს:
- I.1. ცხენი ცეცხლს **აფრქვევდა თვალთაგან** (ილია 2. [ბუღა])
 - თვალებიდან** ცეცხლს **აფრქვევდა** (მ. ჯავახიშვილი).
 - II.1. მონადირეს **თვალთაგან** ცრემლი დაპაღუბით **წამოუვი-და** (ვაჟა); [დღდაკაცს] **თვალებიდან** დაპაღუბით **წამოუვიდა** ცრემლი (მ. ჯავახიშვილი).
 - III.1. სთქვა და მშობლისა **თვალთაგან** გაქრავით დღისით ვარსკვლავი (ვაჟა); 2. **გაქრა თვალნიდან** შეაბჯრე ვაგა (გ. ლეონიძე).
 - IV.1. ისიც თრთოდა და **თვალთაგან** ცრემლს **იწმინდდა** (მ. ჯავახიშვილი); 2. ნუცა... **შუბლიდან** წამდაუწუმ ციფ ოფლს **იწმინდდა** (მ. ჯავახიშვილი).
 - V.1. არწივმა ვერ შეიმაგრა თავი და **თვალთაგან** ცრემლებ-მა **გადმოშეთქა** (ვაჟა); 2. ქალი თავდაკიდებული იჯდა, **თვალებიდან** ცრემლმა **მოშეთქა** (ვაჟა).
 - VI.1. **თვალთაგან** ჩვენებას ცრემლები **სცვივა** (გ. ტაბიძე); 2. ჭაბუკს **თვალებიდან** ცეცხლი **წამოსცვივდა** (მ. ჯავახიშვილი).
 - VII.1. დღეაჩემს გული აუღულდა, ენა დაემა და **გადმოსც-ვივდა თვალთაგან** მსხვილი ცრემლები (ლ. არღაზიანი); 2. [ნუცას] **თვალებიდან** დაპაღუბით ცრემლები **ჩამოსცვივდა** (მ. ჯავახიშვილი).
 - VIII.1. [მაკო]... რაღაცას მოიმიზეზებს და თვალთაგან **მეკარგება** (ნ. ლორთქიფანიძე); 2. სოფიო **თვალნიდან** **დამეკარგა** (მ. ჯავახიშვილი).
- „თვალთაგან“ ხშირად მოქმედებითი ბრუნვა. მაგ.: ... და საწყლის **თვალთაგან** ცრემლმა **იწვიმა** (ილია); [კურდღელი] **თვალთაგან** ცეცხლს **აკვსებ-**

ძველი დავა...

თითქმის ათი წელი გაივლია მას შემდეგ, რაც გაზეთი "ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე განაღდა კამათი ევა-ფშაველას "ალუდა ქეთელაურთან" დაკავშირებით...

გ. პაპუაშვილს გამოეხმაურა მწერალი რევაზ ინანიშვილი, რომელმაც არ დაიჯერა შეცდომის არსებობა და მოიტანა საბუთები მკვლევარის მოსაზრებათა გასაბათილებლად.

რევაზ ინანიშვილის წერილში ("ფრონთალ-ჩენის წინაშე გენიოსის ნახელაფია") იმდენად დამაჯერებელია იყო ნაწილები გია პაპუაშვილის "ახალი თელავსარისის" მცდარობა, იმდენად ზუსტი იყო მისეული დოკიკა, ხოლო ისტუტით- უწყნარი, რომ მკითხველმა დაეა დასრულებულად ჩათვალია, მაგრამ ალექსი ჭინჭარაულმა არ გაიზიარა რევაზ ინანიშვილის სიმართლე და სკდაა გია პაპუაშვილის "მიგნების" დაცვა.

კამათში ჩაება გურამ პეტრიაშვილიც. მის წერილში ("მანძილი ქვერ-კახ-ტალდან ღამას მშამდე"), რევაზ ინანიშვილის ნააზრევზე დაურღობით და საკუთარი არგუმენტების მოშედეგებით, კიდევ ერთხელ ვახდა ჩათვლი, რომ "ალუდა ქეთელაური" გია პაპუაშვილისიველი "ოპერაციის" შემდეგ ბუნებრივ სახეს დაკარგა.

ევა-ფშაველას შემოქმედებით დაინტერესებულ მკითხველს ემახსიერება, აგრეთვე, ამ პოლემიკაში მონაწილე გიგი ხორნაულისა და შია შენგელიას წერილებიც.

კამათი დასრულდა, გია პაპუაშვილის და ალექსი ჭინჭარაულის ასრი არ გაიზიარეს...

მაშინდელი კამათი განაპირობა იმ გარემოებამ, რომ "ალუდა ქეთელაურის" ავტორი უცნობი იყო.

გია პაპუაშვილს კარგად უნდა გაეცნობიერებინა ასეთი ფაქტები: ევა-ფშაველამ "ალუდა ქეთელაური" დასტამბული სახით თბილისში: პირველად - 1888 წელს (პოემა ამ წელს დაიწერა, "ივერიაში" (№262, 263); მეორედ - 1899 წელს, როდესაც მისი თხზულებანი წიგნად გამოვიდა.

დაუჯერებელია, რომ ევა-ფშაველას "ივერიის" ფურცლებზე დაბეჭდილ პოემაში გაპარული უხეში შეცდომა შეუმჩნეველი დარჩებოდა.

უფრო ძნელი დასაჯერებელია, რომ "ალუდა ქეთელაურის" პირველი პუბლიკაციიდან თერთმეტი წლის შემდეგ, 1899 წელს გამოცემულ წიგნში "თხზულებანი" დიდი პოეტი კვლავ ვერ შეამჩნევდა ამ უხეშ შეცდომას.

დიდი მოქანდაკე სანამ საკრედიტს მოიმარჯვებდეს, წინასწარ შესაძლოა ბუნდობლად, მაგრამ მინც) მოღიანობაში ხედავს თავის ახალ ქანდაკებას.

ევა-ფშაველაც ასევე წინასწარ ხედავდა "ალუდა ქეთელაურს" წინასწარ გრძნობდა იმ აზრის სიღრმადს, რომელიც პიეტური ფორმით ასე ცხვენდა:

ჩვენ ვიტყვი, კაცნი ჩვენა ვართ, მარტო ჩვენ გვზღაინ დედანი; ჩვენა ესცხონდებით, ურჯულით კუპრში მიელის ქშენანი; ამის თქმით ვწარამარაობთ, დეთიშვილი უკეთეს იცან, ყველანი მართალს ამბობენ განა, ენაცა პეიციანი?!

- ამ სიტყვებს ამბობს ჯერ კიდევ გაორებული, მაგრამ დიდი სულიერი ფერისცვალებით შებრული ალუდა ქეთელაური. ევა-ფშაველას წინასწარ იცის, რომ ალუდა დიდი ფერისცვალების შედეგად თავს დააღწევს გაორების მდგომარეობაში და ეს მუცალის დახმარებით მოხდება მუცალი მკვდარია, ამიტომ ალუდა და "ლილეველი მგელი" სიზმარში შეხედებიან ერთმანეთს. ევა-ფშაველას გრძნობს ცხინოსის ადგილ უკარანახებს იმასაც, რომ მესამე თავში ალუდას სიზმარი იქნება მოთხრობილი ამ "სიზმარში" გამოხატულია ზარბუზის აქტი (თამაზ ჩხენკელი), სიზმარში განხილულია ალუდა იმ ცოლიელ სამყაროს, რომელშიც ადამიანები ერთმანეთს სიბრძნე და ასახიორებენ რომელშიც ცოდევის მძიმე დრუბლებიდან სიძულვილის მუხი არცთუ იშვიათად ეცემა წუთისოფლის ბიანა, რომ სიზმარში დასრულდა ალუდა ქეთელაურის სულიერი ფერისცვალება. შატლიონის "გადიებებულმა ადამიანებმა გულმა იკმა საზინებულმა კაცობრობისა და ტანჯვითა და წამებით განვილი ეს ჯოჯოხეთი, რათა მეტად არასოდეს მობრუნებოდა მას" (თამაზ ჩხენკელი).

ევა-ფშაველა წინასწარ გრძნობს, რასაც იტყვის მკორედ დაბადებულნი

ალუდა მეთიხე თავის ბოლოს, ევა იმასაც ხედავს, რომ მარადიული ღმერთის მარადიულ ჭეშმარიტებას ზარბუზული და დეკლარაციი ხეყსურის სიტყვები მოწმენდილ ცაზე მუხის გაკარდნასავე მოულოდნელი და თავსარადმცემი იქნება ტომობრივი ფანატიზმით ვიზუალდარსებული ადამიანობისთვის, რომლებიც "ბერდია ჯაგარაშვილის" კურმოტირული მიხეტი არას.

წესი არ არის მტრის მოკლა, თუ ხელ არ მასჭერ დანითა, - ეი ეკეთას სამართალს, შინათლულს ცოდევა-ბრალით!

ეს სიტყვები სულ სხვა სიმადლიდანაა ნათქვამი ალუდას უძველესი ღმერთის სტრედება დეთიშვილითა დამოწმება (დეთიშვილი უკეთეს იცანი), თუმცა კვლავ ძველებურად (შეიძლება, უფრო მეტადც) სწამს მათი მადლი და ძლიერება ადარც თანამემამულეთაგან მიელის პსუსტს ("ყველანი მართალს ამბობენ განა, ენაცა პეიციანი"?), თუმცა უყვარს ისინი და მათი უსასართლიობით იტანჯება.

სხვა ალუდა ქეთელაურის სულიერი მდგომარეობა მკორედ თავში "ჩვენ ვიტყვი, კაცნი ჩვენა ვართ...". აქ მკითხველი ხედავს ჯერ კიდევ გაორებული, მაგრამ მრავალთათვის შეუმჩნეველი მწვერვალსავე მიხედვით ადამიანს, და სულ სხვაა მისი სულიერი მდგომარეობა მეთიხე თავში ("ეი ეკეთას სამართალს..."), სიდაც შატლიონი უკვე მწვერვალთან გველანარაკება.

კიდევ ერთხელ დაეკვირდეთ პოემის მკორედ, მესამე და მეთიხე თავებს. მკორედ თავში ფერისცვალების უადრესად მტკიცეული და მშეყიერი პროცესია ასახული.

მესამე თავში გადმოცემულია ფერისცვალების კულმინაცია და დასასრული. სიზმარი, თითქმის, განსაწმენდილი მდინარეა, რომლის გალითაც ალუდა ქეთელაური ერთ ნაპირთან სისხლიანი ცხოვრება მკორედ ნაპირისკენ ცხოვრითი სიყარული და ამ სიყარულითვის თავგანსრება მიმდინარეობდა.

მკორედ თავში ჩანს გაორების ტკივილებით გატანჯული ადამიანი, რომელსაც ჯერ კიდევ ძალუბს, მოწინააღმდეგეს მოკვეთის ხელი, ხოლო მეთიხე თავში იგი ამ ბარბაროსული წესის უარყოფელია.

მეთიხე თავში (საერთოდ, ამ თავიდან პოემის ბოლომდე) მკორედ დაბადებული ალუდა ქეთელაური, რიგორც ითქვა, სულ სხვა სიმადლიდან უყვარს ქვეყანას.

განა შეიძლება, ორივე ნაპირი მდინარის ერთ მხარეს არსებობდეს? განა შეიძლება, სიზმარში განცდილი ფოლკლორული ტკივილების შედეგად ახლად შობილი ალუდა სიზმარში ეიხილით?

გია პაპუაშვილისა და მისი თანამოაზრეების ფიქროთ, შეიძლება, რევაზ ინანიშვილისა და მისი თანამოაზრეების აზრით, წარმოედგინებოდა, აღნათ, უკვე ნათელია, თუ რატომაა მოკვეთილი მესამე თავი მკორედ და მეთიხე თავებს შორის. იმასაც შეამჩნეეთ რომ მესამე და მეთიხე თავებს ადგილი არ უნდა შეეცვალოს.

მესამე თავი ასე სრულდება: სიზმარი გამტანჯულს ამით ვარ გუნებადელეებულნი

თუ მესამე და მეთიხე თავებს ადგილი შეეცვლება, მაშინ სიზმარისაგან გატანჯული და გუნებადელეებული შატლიონის პირდაპირ გულანის სალოცაში გამოიჩნება ბუნებრივი არ იქნება ალუდა ჯერ თანამემამულეებს უნდა უთხრას დიდი სიმართლე ("ეი ეკეთას სამართალს..."), ხოლო შემდეგ ხატობაზე უნდა ეიხილით, გუნებადამშვიდებულნი და უფრო დიდი სასწაულის მოსახდენად ხისლითი მიმდგარი, "კურატი შავითა".

იმ კამათის შემდეგ ბევრმა წყაღმა ჩაიარა და მკითხველი დაინტერესდებოდა, თუ რატომ გაეიხიერეთ იგი. მიხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო გია პაპუაშვილის "მიგნებამ", რომელიც დაეწერებას მეთიხე, "გამიარევა": ახლანან გამოიცა ევა-ფშაველას დეკლემისა და პოემების წიგნი (გამომცემლობა "ალეკრდი", 1996 წელი, რომელშიც "ალუდა ქეთელაურის" მესამე და მეთიხე თავებს ადგილი აქვს შეუცვლილი.

მკითხველმა განსაჯოს ცოცხალი რომ იყოს, გაუმართლებელი "ოპერაციის" შედეგად გადასხეფებული "ალუდა ქეთელაურის" მხილველი ევა-ფშაველა ხალხლიანი დინილით იტყვია:

მინც ის არი, რაც არი, ტორები მოაშორეთა!

«ქორეპი მოაპორეთა...»
ქველი პოლემიკის განსახება
ახალი საბაპით

აბიტურიენტის ფურცელი

ქართული ენა

თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების პროგრამით გათვალისწინებული საკითხები ქართულ ენაში სხვადასხვა სახელმძღვანელოშია გაბნეული, რაც ურთულებს აბიტურიენტებს მათ მოძიებას... ჩირს სახელმძღვანელოების შოვნაც. ამიტომ აბიტურიენტებისთვის ვაგრძელებთ ლეილა გემუჩაძის მიერ შედგენილი დამხმარე სახელმძღვანელოს ბეჭდვას.

გრამატიკის ნაწილები (მორფოლოგია და სინტაქსი).

გრამატიკა მეცნიერებაა ამა თუ იმ ენის აგებულების შესახებ. იგი აერთიანებს ენათმეცნიერების ორ დარგს: **მორფოლოგიას** და **სინტაქსს**. **მორფოლოგია** აინტერესებს სიტყვა ფორმის თვალსაზრისით (გავიხსენოთ: „მორფე“ ბერძნულად ფორმას ნიშნავს, „ლოგოს“- მოძღვრებას). ხოლო **სინტაქსისათვის** უმთავრესია შესიტყვებაში სიტყვათა შეკავშირების წესების კვლევა. იმ ურთიერთობათა შესწავლა, რომელთა მეშვეობითაც ცალკეულ სიტყვათაგან წინადადება ყალიბდება („სინტაქსის“ ბერძნულია, შედგენას, მოწესრიგებას, ორგანიზებას ნიშნავს).

წინადადება „დღემ დაიხურა პირბადე“ სამი სიტყვისაგან შედგება. მორფოლოგიური ანალიზის დროს ამ სიტყვებს ცალ-ცალკე დაეხასიათებთ: „დღემ“ არსებითი სახელია, რომლის ფუძეა „დღე“. ეი, ხმოვანფუძიანია, მთხრობით ბრუნვაში დგას, მ მთხრობითი ბრუნვის ნიშანია და ა.შ.

„დაიხურა“ ზმნაა, რომელშიც და- ზმნისწინია, ი-სათავისო ქცევის ნიშანი, „ხურ“ ზმნური ძირია, -ა - III სუბიექტური პირის ნიშანი...

„პირბადე“ არსებითი სახელია. მაგრამ რთულია აგებულების მიხედვით: კომპოზიტია, ორი ფუძის- „პირ“-ისა და „ბადე“-ს შეერთებით მიღებული, ფუძეა „პირბადე“, ხმოვანფუძიანია... სახელობით ბრუნვაში დგას და ა.შ. ამ საკითხებს უფრო დაწვრილებით შემდეგ გავიმოხრობთ.

სინტაქსური ანალიზის დროს **სინტაგმების** ანუ **წყვილების** გამოყოფა და მათი დახასიათება საჭირო. ასეთი წყვილი ამ წინადადებაში ორია (საერთოდ, წინადადებაში იმდენი წყვილია, რამდენიც წვერია ერთის გამოკლებით): „დღემ დაიხურა“ და „დაიხურა პირბადე“. პირველ წყვილში რომ ზმნა III პირის ფორმითაა წარმოდგენილი (დაიხურა-ა), ეს განპირობებულია არსებითი სახელით (დღემ). მის ნაცვლად I პირის ნაცვალსახელი რომ ყოფილიყო (მე), ზმნაშიც I სუბიექტური პირის ნიშანი აღმოჩნდებოდა: მე და -ე იხურე.

მეორე მხრივ, არსებითი სახელი რომ მთხრობითი ბრუნვის ფორმითაა (დღე-მ), ამაში „დამნაშავე“ ზმნა „დაიხურა“. ეს ზმნა სხვა დროის ფორმით რომ ყოფილიყო (მაგალითად, მომავალი დროისა- „დაიხურავს“), არსებით სახელსაც სხვა ბრუნვა ექნებოდა: „დაიხურავს დღე“. როგორც ვხედავთ, სახელსა და ზმნას შორის გარკვეული ორმხრივი ურთიერთობაა, რომელსაც საურთიერთო მართვას ექვსავით. ასეთივე ურთიერთობაა მეორე სინტაგმის წვერებს შორის: „დაიხურა პირბადე“. მაგრამ: „დაიხურავს პირბადეს“... სწორედ ამ ურთიერთობებს იკვლევს სინტაქსი (სინტაქსური ურთიერთობის საკითხებს უფრო დაწვრილებით სხვა დროს შევეხებით).

მეცხველების ნაწილები

ქართულ ენაში არსებული სიტყვების მთელ მარაგს ყოფენ ჯგუფებად, რომლებსაც „მეტყველების ნაწილებს“ ეძახიან. მათი რაოდენობა ახალ ქართულში ათია:

1. არსებითი სახელი (კაცი, მზე, სიკეთე...)
2. ზედსართავი სახელი (მაღალი, მშვენიერი, უანგარო...)
3. რიცხვითი სახელი (შვიდი, მეშვიდე, მეშვიდედი...)
4. ნაცვალსახელი (მე, ის, შენი, ეის, რომელიმე, სხვა...)
5. ზმნა (ვაშენებ, ცხოვრობ, აზროვნებს, ყრია...)
6. ზმნიზედა (გუშინ, იქ, როგორც, ამიტომ...)
7. თანდებული (-ზე, -ში, -თან, -კენ, შორის, გამო...)
8. კავშირი (და, თუ, მაგრამ, ხოლო, რომ...)
9. ნაწილაკი (-ც, დაც, -ოდე, თურმე, ნუ...)
10. შორისდებული (ვაა, უიმე, ვაშა!...)

ძველ ქართულში ამას ემატებოდა **ნაწევარი** (ესე, ეგე, იგი... საქმე ესე, კაცი იგი...).

თუ დაეუკვირდებით, შეენიშნავთ, რომ ენაში არსებული სიტყვების მთელი მარაგი დაყოფილია არა ერთი, არამედ რამდენიმე საკლასიფიკაციო ნიშნის მიხედვით. ამიტომ ისინი (მეტყველების ნაწილები) გრამატიკული (მორფოლოგიური და სინტაქსური) თვალსაზრისით თანაბრად არ შეეზომებიან ერთმანეთს.

თუ დაყოფას მოვახდენთ **მორფოლოგიური თვალსაზრისით**, უნდა გამოვყოთ სიტყვების ორი ჯგუფი: **ფორმაცვალებადი** სიტყვები და **ფორმაუცვლელი** სიტყვები.

ფორმაცვალებადი სიტყვების ჯგუფში შევა: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი (რომლებიც იცვლებიან ბრუნვათა მიხედვით, ანუ იბრუნვიან) და ზმნა (რომელიც იცვლება პირის, რიცხვის, დროის, გვარის... და ა.შ.



აბიტურიენტის ფურცელი

7 ← მიხედვით, ანუ იუღლებს). ფორმაცვალებადია აგრეთვე სახელზმ-ნებიც: საწყისი (შენება, კეთება, ხატვა...), რომელთაც ნაზმნარ არსებით სახელებს ან მოქმედების სახელებს უწოდებენ, და მიმდებარა (მშენებელი, ჩასაწერი, დახატული...), რომლებიც ნაზმნარ ზედსართავ სახელებს წარმოადგენენ. მათ შეიძლება არსებითი სახელის მნიშვნელობაც ჰქონდეთ. საწყისსაც და მიმდებარასაც ზმნური ძირი აქვს, მაგრამ ისინი იბრუნვიან სახელთა მსგავსად (ამიტომაც ჰქვიათ სახელზმნები).

ფორმაცვალებადი იყო ძველი ქართულის ნაწვევრიც (კაცი ესე... კაცსა ამას ...).

ფორმაცვლელი სიტყვებია: ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი და შორისდებული. ისინი, ჩვეულებრივ, არც იბრუნვიან და არც იუღლებიან, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ ენას არაჩვეულებრივი უნარი აქვს. ფორ-მაცვლელ სიტყვათა სახელად გამოყენებისა, სახელის ფუნქციით აღჭურვილი ნებისმიერი სიტყვა კი ფორმაცვალებადი ხდება. მაგალითად, "ვაი", "უი" შორისდებულებია, ფორ-მაცვლელი, მაგრამ გავიხსენოთ ქართული ანდაზა: "ვაის გავყარო და უის შევეყარო". "ვაის" და "უის" არსებითი სახ-ელის ფუნქციითაა ნახმარი. სხვა მაგალითი: "ხვალ" ზმნიზედაა, ფორმაცვლელი სიტყვა, მაგრამ ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთ მოთხრობაში ვკითხულობთ: თვალი და გული **ხვალისკენ** მიგვიბრბოდა, **ხვალეს** ველოდით, **ხვალე** გვასოსო-და, **ხვალეს** ენატრობდით...

შეიძლება ენაში არსებული, სიტყვების მთელი მარაგი დაეყოს **სინტაქსური თვალსაზრისით**. ამ შემთხვევაშიც ორი ჯგუფი გამოიყოფა: **სრულმნიშვნელოვანი** სიტყვები და **დამზ-მარე** სიტყვები.

სრულმნიშვნელოვანი სიტყვები თავისთავადი, დამოუკიდებელი მნიშვნელობისანი არიან, ისინი **წინადადების წევრებს** წარმოადგენენ. ასეთია, უპირველეს ყოვლისა, **ზმნა**, რომელიც ხერხემალია წინადადებისა, ასეთებია არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალ-სახელები, საწყისები და მიმდებარები. ისინი წინადადებაში გამოიყენებიან ქვემდებარე-დამატებებისა ან მათი განსაზღვრებების მნიშვნელობით. სრულმნიშვნელოვანია ზმნიზედა, რომელიც ზმნა-შემასმენლის განსაზღვრებას წარმოადგენს- აღნიშნავს ზმნით გადმოცემული მოქმედების ადგილს, დროს, ეთარებას, მიზეზს, მიზანს... ე.ი. რომელიმე სახის გარემოებას წარმოადგენს.

დამზმარე სიტყვების ჯგუფში ერთიანდება თანდებული, ნაწილაკი, კავშირი. მათაც აქვთ დაკისრებული გარკვეული მორფოლოგიური თუ სინტაქსური ფუნქციები, მაგრამ დიდად განსხვავდებიან სრულმნიშვნელოვანთაგან.

რაც შეეხება შორისდებულებს, მათ არა აქვთ სინტაქ-სური კავშირი წინადადების წევრებთან, მაგრამ უპირისპირდ-ებიან სხვა წევრებს, როგორც წინადადების ეკვივალენტები ("ეკვივალენტი" ლათინური სიტყვაა, რისამე ტოლფასს, თანაბარი ღირებულების მქონეს ნიშნავს).

არსებითი სახელი. ჯგუფები შინაარსის მიხედვით.

არსებითი სახელი ეწოდება საგნის აღმნიშვნელ სიტყვას. ეს საგანი კი შეიძლება იყოს რეალურად არსებულიც (კაცი, მზე, სახლი, წიგნი...) და ისეთიც, რომელსაც ნივთიერი სახე არ გააჩნია (სიზმარი, სინდისი, სათნოება, სიკეთე...).

არსებით სახელებში გამოყოფენ **ჯგუფებს შინაარსის მიხედვით**. ეს ჯგუფებია:

1. სულიერთა და უსულითა სახელები;
2. ადამიანთა და არაადამიანთა, ანუ **ვინ** ჯგუფისა და **რა** ჯგუფის სახელები;
3. კონკრეტული და აბსტრაქტული სახელები;
4. საკუთარი და საზოგადო სახელები;
5. კრებითი სახელები;
6. ნივთიერებათა სახელები

გავეცნოთ თითოეულ მათგანს:

„სულიერი“ ეწოდება საკუთარი ძალით მოძრავ ცოცხალ არსებათ (ა. შანიძე). ასეთები არიან ადამიანები (ქალი, ბავშვი, მკურე, ექიმი, პედაგოგი...), ცხოველები (ცხენი, ძაღლი, კატა, ლომი, ვეფხვი...), ფრინველები (არწივი, შევარდენი, ბელურა, მერცხალი, ქათამი...), თევზები (ორგული, კალმახი, თარბი...), მწერები (ბუზი, კოლო, ფუტკარი...), ქვეწარმავლები (ხვლიკი, მორიელი, გველი...).

„უსული“ კი ეწოდება ისეთ საგნებს, რომელნიც მოკლე-ბული არიან საკუთარი ძალით მოძრაობის უნარს (ა. შანიძე): სახლი, ქვა, ბაღი, ჩანთა...

ვინ ჯგუფისაა ქართულში მხოლოდ ადამიანის აღმნიშვნელი სიტყვები: კაცი, ქალი, გოგო, ბიჭი, ექიმი, ინჟინერი...

დანარჩენს -ეველას - დაესმის კითხვა რა, სულიერსაც და უსულოსაც: ირემი, კატა, წიგნი, ვაშლი...

კონკრეტულია სახელი, თუ ის აღნიშნავს რაიმე არსებას ან ფიზიკურ ობიექტს, რისი აღქმაც შესაძლებელია გრძნობათა ორგანოებით: ქალაქი, კიბე, ბგერა, სუნი... აბსტრაქტული (ანუ განყენებული) სახელი აღნიშნავს ისეთ რაიმეს, რასაც არა აქვს ნივთიერი სახე: სიმშვიდე, გულკეთილობა, სინაზე...

საკუთარია ისეთი სახელი, რომელიც ჰქვია ერთ რომე-ლიმე საგანს: ქვეყანას, სოფელს, ქალაქს, მთას, მდინარეს, ზღვას და ა.შ. მაგალითად, თბილისი, კავკასიონი, ევროპა, არაგვი, ბახალეთი... საკუთარია ადამიანის სახელები (ქეთევან, თამარ, გიორგი, საბა...), გვარები (გურამიშვილი, ტაბიძე, რაზიკაშვილი, შექსპირი, ბაირონი...).

საზოგადოა ისეთი სახელი, რომელიც აღნიშნავს არა ერთ გარკვეულ, არამედ მრავალ ერთგვარ საგანს (ა. შანიძე), როგორცაა, მაგალითად: თვალი, მცენარე, მგელი, ტყე...

კრებითი სახელი აღნიშნავს ადამიანების, ცხოველების, ფრინველების და ა.შ. კრებულს, ერთობლიობას. მაგალითად: ხალხი, ერი, გუნდი, რეზა, ნახირი, ჯოგი, ხროვა... შესაძლებელია, რომ ერთი საგნის აღმნიშვნელმა სიტყვამ კრებითის მნიშვნელობა მიიღოს: "ცხვარი მთის კალთებზე შეფენილიყო". ამ წინადადებაში "ცხვარი" "ფარა"-ს მნიშვნელობითაა ნახმარი.

ნივთიერებათა სახელებია: რკინა, სპილენძი, ღვინო, ოქრო, კერცხლი, ტყვია, წყალი და სხვ.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

3. აბო თბილელი

როგორც ეთქვით, არაბთა ხანგრძლივმა ბატონობამ უკიდურესად გადაავარა ქართველობა; მათგან ბევრმა დაივიწყა ჭეშმარიტი ღმერთი და, როგორც იოვანე აღნიშნავს, ირჩია ცრუ მოძღვართაგან „თავით თვისით“ ყურთა ქაეღისათვის შექმნილი რელიგია ... და ცხოვრება დაიწყო „გულისთქმისაებრ თვისისა“. ეს, როგორც ითქვა, მთორედ მოსვლის ნიშნებს ჰგავდა და იწყებოდა ქვეყნიერების აღსასრული. აი, ასეთ უსაშველო ვითარებაში გამოჩნდა ჩვენში აბო. „ქრისტესა, ღმერთსა ჩუენსა შეუმეცნა“ და მისმა მოღვაწეობამ არა მარტო იხსნა არამედ „გურგუნოსან-ყო“ ჩეენი ეკლესია და „ყოველი კრებული ქრისტეანეთაჲ, ეი. ქართველობა, ერთბაშად განანათლა“.

ეინ იყო აბო, რომლის გამოჩენამაც ასე ერთიანად შემოაბრუნა სიკეთისაკენ ქართველები და საიდან, ან რატომ მოვიდა ჩვენში?

იოვანე მოგვითხრობს, რომ აბო იყო „დედულად და მამულად“ არაბი, „ტომისაგან სარკინოზთაჲსა“ და თავის და-ძმებთან და მშობლებთან ერთად ცხოვრობდა ქალაქ ბაღდადში. შესწავლილი ჰქონდა „არაბული მწიგნობრობა და ნელსაცხებელთა მოძნადების საიდუმლო, როცა ხალიფა მაჰდის ბრძანებით ქართლის ერისმთავარი ნერსე საპრობილიდან გამოუშვეს, აბო მსახურად დაუდგა მას და თანდათან ისე შეეთვისა, რომ სამშობლოში დაბრუნებულს თან გამოჰყვა თბილისში. მაშინ აბო ძალზე ახალგაზრდა, ჩვიდმეტ-თერამეტწილის ჯაბუკი იყო.

იოვანე თავისი მოთხრობის პირველ თავში თუ მხოლოდ მიგვანიშნებს, რომ აბოს აქ ჩამოსვლაში დევის ხელი ერია, მთორეში პირდაპირ აღნიშნავს, რომ ვითარცა ბიბლიურმა აბრაამმა აღთქმულ ქვეყანას აბოშაც ასევე „წამოსყოფითა ღმერთისაჲთა“ მოაშურაო საქართველოს. ეს მეტად საგულისხმო ანალოგია და, აი, რატომ: უფლის ნებით თავისი ქვეყნიდან აბრაამის ამ გამოსვლის შესახებ მაქსიმე აღმსარებელს უთქვამს: „აბრაამი, როცა მიდის თავისი მიწიდან, ნათესაობიდან და მამისეული სახლიდან, და რომელიც დევის მიერ განცხადებულ მიწასთან მიდის, ეს აბრაამი ხდება სულიერად ის. ვინც განაგდებს ხორციელ მიდრეკილებებს და ენებათაგან განშორებული, დატოვებს გრძნობებს და... მარტოდენ გონებით, რაც ყოველგვარ ნივთიერ საკრეველთაგან განთავისუფლებულია, მიდის ცოდნის საღვთო და ნეტარ მიწასთან და სიგრძე სიგანით მიმოივლის მას საიდუმლოდ, სადაც პოუვებს ჩვენს უფალსა და ღმერთს იესუ ქრისტეს...“ (გ. გელიძე - თურხალი „გზა სამეფოს“ დანართი №1), 1995 წ. გვ. 2, თარგმანი მისივე).

როგორც თანდათან დაერწმუნებით, აბო თბილელის ჩვენში მოსვლასა და მოღვაწეობაშიც სწორედ ამასვე ხედავს და განასახოვნებს იოვანე აბოსათვის არსებობად ამიერ-მიხური საქართველო იქცევა დევის მიერ გაცხადებული ცოდნის იმ საღვთო მიწად, სადაც ყოველგვარ ხორციელ ინტერესთაგან განთავისუფლებდა და იპოვის ჩვენს „უფალსა და ღმერთს იესუ ქრისტეს“.


გაგრძელება დასაწყისი იხ. ზგ. №1,2 1997 წ.

ქართული ლიტერატურა

ქართლში მოსული აბო „ცხოვნდებოდა“. ეი. ცხოვრობდა „ნერსე ერისთავისა თანა“ და თავისი სათნო ხასიათითა და ქცევით ბევრისათვის უადრესად საყვარელი პიროვნება გახდა. ქართველებთან ამ გულითად ურთიერთობაში კარგად ისწავლა ქართული წერა-კითხვა და ჩქარა ეჩასაც ისე დაეუფლა, რომ თავისუფლად საუბრობდა. ამან გზა გაუხსნა ჩეენი სარწმუნოებისაკენაც და ეინაიდან „უფალი მეცნიერ-პოეფა“. ხელი მიჰყო „საღმრთო წიგნთა ტყელისა და ახლისა შჯულისათა“ შესწავლას. აბო, როგორც აღნიშნულია ქართულ ლიტერატურაში, თუნდაც აი ამ თავისებურებით მართლაც აღარ არის ჩვეულებრივი პავიოგრაფიული სახე და მისი ეს თავისებურება თანდათან კიდევ უფრო ცხადდება მომდევნო თხრობაში.

აბო, ცხადია, უცბად არა ქცეულა ქრისტეს მიმდევრად: იგი თურმე ძალიან ფრთხილად და, დიდი დაკვირვებით შედიოდა ახალი სარწმუნობის სამყაროში, რასაც იოვანე ასე გადმოგვცემს: „და მოვიდის იგი წმიდად ეკლესიად და მარადის ისმენს წმიდათა სახარებათაგან და მრავალთაგან შჯულის მეცნიერთა იკითხავს და ისწავებს. ხოლო რომელითაჲ თუ ცლობით წინააღუდგებიან არამედ მიზეზ სწავლისა ექნებინო მას“. ასე მხოლოდ გულისხმიერ აღამიანებს ჩვეუიათ. ისინი ტყვილით შორდებიან ჩვეულს, როცა მის უკმარისობაში ეჭვდებიან და ასევე ნელსელა და განცდით ეხიარებიან ახალს, უფრო ნათელსა და ამადლებულს.

სწავლა გაგებას ნიშნავს, საგნისა თუ მოვლენის არსში წედომას, მაგრამ თუ ცოდნა სიყვარულით განათებულ რწმენად არ იქცა, ქრისტეანობისათვის ძალზე ცოტაა. აბოს, ცხადია, თავიდანვე უცვბ არ შეეძლო ამის მიღწევა, როგორც არარა კაცს არ ძალუძს იგი, ამისათვის საკმარისი დრო და ფიქრია საჭირო: როცა ცოდნით გაერკვეა ქრისტეანობის არსში და მიხვდა, რომ იგი კაცთა ნებით შექმნილი რელიგია კი არა, თავად უფლისაგანვე ნაქადაგები სიბრძნეა, აბომ „უდებჰყო შჯული იგი მამქედისი და წესი იგი მამულისა მის ლოცვისაჲ დაუტევეა და შეიყურა ქრისტეს ყოვლითა გულითაო“. - წერს იოვანე, მაგრამ ეს სიყვარული მაინც სრული რომ არ იყო, ჩანს იქიდან, რომ იგი ჯერ კიდევ „ვერ განიცხადებდა თავსა თვისსა სრულიად ქრისტეანედ“. „სრულიად ქრისტეანედ“ ქცევა მხოლოდ შიშის დაძვევას შეიძლებოდა მიყოლოდა, ახლა კი აბო „ფარულად, მმარხავს და ილოცავს ნათელი ქრისტესი, რამეთუ ეშინოდა სოფლის მპყრობელთა ამათ ზედამდგომელთა ჩუენთა სარკინოზთაგანო“, - ეკითხულობთ ტექსტში. ამ შიშის დაძვევა, როგორც ითქვა, რწმენის გაღრმავებასა და დევატორივი სიბრძნის გულით გაგებას უნდა მოეგნა აბოსათვის. აქამდე კი გრძელი გზა მიუძღვოდა. გზა ქართლიდან დევნილებისა ხაზარეთამდე და იქიდან კი



აბო დაწერილია აბოაწერ ლაშა ბენწარაშვილის მიერ დევალი შევილების ოჯახის შეკვეთით 1994 წელს

აბიტურიენტის ფურცელი

9 აფხაზეთამდე. რაც სიმბოლურად საკუთარ მისწრაფებაში საბოლოოდ გარკვევის გზად უნდა ქცეოდა აბოს; მოთხრობაში ეს არსებითად ასეც არის გააზრებული.

ხაზარეთში შორს დაიგულა თავი არაბთაგან. უშიშრად "შეეყო მარხვასა და ლოცვასა დაუცადებლად". მოინათლა კიდევ: ლოცვითა და ფსალმუნებით გალია გზა ხაზარეთიდან აფხაზეთამდე. რასაც ნერსეს ამალამ მთელი სამი თვე მოახდოდა. მაგრამ მისი გული საბოლოოდ მაინც მხოლოდ მაშინ გაიხსნა მაცხოვრისათვის, როცა აფხაზეთში "იხილა კაცთა მათ ადგილისათა გარდამეტებული ღმრთისმსახურება და ლოცვაჲ ყოელისა მის ერისაჲ დაუცადებელი". აბოს გაახსენდა მოციქულის სიტყვა: „კეთილ არს ბაგეჲ კეთილისათჳს მარადის“ და თავდაც მთელი არსებით მიეხლო სარწმუნოებას. ჩეღმეტ იანვარსწმინდა ანტონის ხსენების დღიდან დაიწყო „და დუმილითა და მარხუითა მოაუძღვრებდა იგი ხორცთა მათ სიჭაბუკისა თჳსისათა“; დიდმარხვამდე მისი ბაგიდან მხოლოდ დეთის სახელია ისმოდა. ამ დღიდან კი მხოლოდ დუმილით შეერთო უფაღის და "მაშინა დააცადა ფიცხელი იგი მარხვად და განჭნა ქნაჲცა თჳსი უტყუობისაგან", როცა აღდგომის დღესასწაული ჩათავდა.

"სადაცა" სული უფლისაჲ. მუნ ახნაურობად არსო". აღნიშნავს პავლე მოციქული (კორინთელთა II, 3.17). აბომ ამ გზით მხოლოდ მადლი სულიერება კი არა, ახნაურობაც, ეი, თავისუფლებაც მოიპოვა. შედეგად კი გაქრა შიში. და აი, როდესაც ასეთად ქცეულს დასაუღლო საქართველოში დარჩენა ურჩიეს. შენ სარკინოხი ხარ და ქართლში ვაბატონებული შეხიანები არ გააბატონებო გაქრისტიანებას. აბომ გადაჭრით უპასუხა: "სადაღა შემოწყნარა მე ქრისტემან და განმაშორა ჩემგან ბხელი იგი პირველისა მის უმეტრებისა ჩემისაჲ და დისციო მე ხათელსა მისსა, არსადა უფარეყო მე სახელი მისი, დადაცა-თუ ბერეული ოქროსაჲ და ვეცხლისაჲ მომცემ მე, გინა თუ ტანჯეთა და გუქითა განმიკითხონ მე, ვერა განმაშორონ მე სიყუარულსა უფლისა ჩემისასა".

ცხადია, ეს ის აბო აღარ არის, რომელიც თბილისში გაქრისტიანების საწყის ეტაპზე ფარულად მარხულობდა და ლოცულობდა, რადგან ეშინოდა სარკინოხთაგან. იგი ახლა უკვე თავად მიიწვეს იქ, სადაც ქრისტეს სახელისათვის დევნას დაუწვეებენ. ახლა იგი, როგორც თვითონვე ამბობს, ქრისტეს სიყვარულით ანთებული სანთელია და საფერა. რომ ასეთი სანთელი სასანთლეზე უნდა იდგეს და არა ხეიმირის ამოფარებული, როგორც თავად იყო ადრე ამტომო, ევედრება იგი გულითად მასპინძელს, "ნუ დამაყენებ მე ღმრთისმსახურო, რამეთუ რაჲ მადლი არს ყოფად ჩემი აქა, სადა არა არს შიში, არცა სიკუდილი ქრისტესათჳს".

მაშასადამე, ეს უკვე სრულყოფილი, გაუზარავე პიროვნებაა და ასეთი წარსდგება თბილისში ამირას წინაშეც, როცა, დააპატიმრებენ გაქრისტიანების გამო. აბოს იმ სიტყვიდან, რომელსაც პასუხად მოუგებს ამირას, კარგადა ჩანს, რაზე აუღია მას ხელი და რატომ, რა შეუძენია მის ნაცვლად და რისთვის სწირავს სიცოცხლეს: "გმა კეთილად სთქე, მიუგო მან მსაჯულს, რამეთუ ვარ მე ბუნებით სარკინოხ. შობილვე მას შინა მამულად და დედულად: განსწაყულულ ვიყავე შჯულითა მით მაჰმედისთა და ვცხონდებოდე მას შინა, ედრე უმეტრებასა შინა ვიყავე ხოლო ოდეს სათხო-ყო ღმერთმან, რომელმან გამომიჩინა მე ძმათაგან და ნათესაეთა შორის ჩემთა და მიჭნა მე იესუ ქრისტეს მიერ, ძისა მისისა და ღმრთისა ჩემისა, და გულისხმა-მიყო მე უმჯობესი იგი კეთილი, მაშინ დაბრუნე მე პირველი იგი კაცთა უწლოვნებთა შეთხუელი შჯული და ზღაპრობის სიბრძნითა დონისძებულნი რწმუნებაჲ და აწ შეუდგე ჭეშმარიტსა ქრისტესს მიერ მომადლებულსა სარწმუნოებასა". და ა.შ.

ამ სიტყვაში გარდა აღნიშნულისა კიდევ ერთხელ ისიც დადასტურდა, რომ ქრისტეს ნათელთან ზიარებამ, ავტორისავე სიტყვით რომ ვთქვათ, შეუძერებლობა, ეი, სიმტკიცე შეძინა აბოს და ეს რომ ნამდვი-

ლად ასე იყო, საქმით გვიჩვენა მან: როცა საკანში ჩამწყვედულს სხვადასხვა შემოგონებულნი და ცრუმოდებარნი მიეძახნენ, "შეილო, ნუ განიწირავ თავსა შენსა, ნუცა სიჭაბუკესა შენსა განაგაჭრი ქრისტეანედ და ნუცა ძმათა და ნათესაეთა შენთა განუშორები, რაჲთა არა შეამოხვო ძვირი თავსა შენსა და შეგუაწუხებ ჩუენ ყოელნი". ამ ფარისევლით აბომ ცივად მოუჭრა: "განმიშორებით მე, უკეთუარხო, და გამოვიძინე მე მტენბანი ღმრთისა ჩემისანიო"! თავისი უფლის მტკუბათა გამოძიება, როგორცა ენახეთ, მან საქართველოში ჩამოსვლისთანავე დაიწყო და, აი, ახლაც თითქოს მასვე ელტვის, ოღონდ სხვაგვარად: ახლა იგი თავის არსებაში უკვე იმდენად განიცდის მაცხოვარს, რომ "შუქმლია ასეც კი მიმართო: "აწ უწუო, რამეთუ არა დამიტყვე, არამედ ჩემთანა დადგრომილ ხარ და მე შეთანა" და სურს, რომ მასთან მოპოვებული ამ გაშუადებით ბოლომდე შეინარუნოს სიმტკიცე ეს მისწრაფება იმდენად ინტენსიურია მასში, რომ საკანში ნიადგ მლოცველს დგომამდეც კი გამოუხატება, ეი, მისი გარეგნობის საცნაურ ნიშნად იქცევა, ამიტომ არის, რომ ამას რამდენჯერმე აღნიშნავს იოვანე: "რამეთუ იტყოდა მდგომარს იგი შეუძერებლადო, მაშასადამე, აი, ასეთი ხდება აბო ქრისტესთან გაშუადებით და ვერანობო, რომ მისი შეხერა, ანუ გატეხვა მართლად არარა ძალას აღარ შეუძლია, უფრო მეტიც: როდესაც იგი ამირასთან მიყავი, ამ უკანასკნელ გზაზე იგი არსებითად წყდება თავის მატერიალურ ბუნებას, ეი, ხორცს და სულიერად ქმნილი, "ეთარცა ეინ მოგზაურ ექმნეს მკუდარსა, კერე მხედვდა თჳსსა მას გუამსაო". - მოგვითხრობს იოვანე

მსაჯული, რომელსაც საბოლოო შეგონებისათვის წარუდგინეს აბო, აბა ყოველივე ამას როგორ მიხედვოდა, ამიტომ არის, რომ იგი გაოცებული და რამდენადმე გაღიზიანებულიც კი ჩანს, როდესაც ასეთ რამეს ეკითხება აბოს: „რაჲ ვგოდეხი სიტკობუთაჲ გაქუს ქრისტესს შენისაგან, რომლითა სიკუდილდაცა არა გეწკადენის თავი შენი?" ხილი აბო კი, რომელიც ხედავს მსაჯულის მოუწელიძობასა და გულის სიყრუეს, გამოშწვევად მოუგებს მას: "უკეთუ გნებაგ ცნობად სიტკობუბა მის, შენცა გრწმენის ქრისტე და ნათელ იღე მისა მიმართ და მაშინღა დირს იქნე ცნობად სიტკობისა მისო". განრისხებულმა ამირამ აბოს სიკვდილით დასჯა ბრძანა.

იღვა 786 წლის 6 იანვარი, თბილისი ნათლისღებას ზემობდა, არაბებმა აბო ორმოცი სუბსტიელი მოწამის სახელობის ეკლესიის ეზოში მიიყვანეს და იქ მოაკვეთეს თავი. მტრის ცინიზმი ამაზე შორს საღდა წავიდოდა! მათ ეცნობა, ამით მარტო ნათლისღებას კი არ გააუფრულებდნენ, შიშის ზარსაც დასცემდნენ ქართველებს, მაგრამ მონღა პირიქით: აბოს სიყვარულმა ქრისტესამდე და შემართებამ ფეხზე დააყენა ქრი, სადაც აბოს ნაწამები გვაში დაფერფლეს, იმ ადგილს ხალხი მიაწყდა; იოვანე წერს: "მაშინ იყო სიმრავლემან ქალაქისამან ქრისტეანეთაგან და განადგურსა შიში მძლავრისაჲ მათ და განვიღოდეს ყოველივე ადგილსა მას, სადაცა დაწუნეს კოორცნი იგი წმიდისა მოწამისანი: მოხუცებულნი მირბიოდეს კუერთებთთა თჳსითა, მკვლობენი ხედიდით, ეითარცა ირემნი, ჭაბუკნი სრბით, ყრმანი წკლით ურთიერთას, დედანი მსგავს იყვნენ წმიდათა მათ მტენლსაცხებულთა, რომელთა სრბით მოაქანდა სულნელები იგი წმიდასა მას ქრისტესს ღმრთისა ჩუენისა საფლავსა".

ეს უკვე ფეხზე დამდგარი ერია, აბოს მაგალითით უმშამკროალი ერთიან რომ დამრულა თავისი დირსების დასაცავად, იოვანე დიდი შინაგანი მღელვარებით ქმნის ქვეყნის ამომრავების ამ ექსპრესიულ სურათს:


პიროვნების ასეთ ამადლებას, როგორსაც მიადწია აბომ, იოვანეს ფიქრით დიდ მნიშვნელობა აქვს. თითოეული ქართველისაგან აბოს გზის არჩევა, მისი მსგავსი სულიერი სიმხვევე, უსათუოდ მოიტანდა ერის ზნობრივ გაჯანსაღებას, ამის შედეგად კი მის საბოლოო ხსნას იმ კატასტროფისაგან, სადამდეც არაბმა დამპყრობლებმა მიიყვანეს, ამიტომ იყო, რომ იოვანე მიმართავდა თავის მრევლს: "არა თუ ჩემდა ხოლო მარტოვსა საძიებელ არს სმენად საწადელი ესე მარტკლობაჲ წმიდისა ამის მოწამისაჲ, არამედ ყოველთა ჯერ არს თქუენდაცა დაკურებად ჩემ თანაო". რას უნდა დააკვირებოდა ქართველი კაცი აბოს თავგანწირვაში, მაშასადამე, იოვანეს მადლით მართლაც კარგადა ჩანს "აბოს წამებაში".

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

აი, ისტორია

1899 წლის „ცნობის ფურცელი“ წერდა: „...დღეს კი წმიდა მოწამის სახსოვრად ისეთი ღარიბულად მორთული ნიშა, რომლის არსებობაც ძალიან მცირე რიცხვმა ქართველებსამ

დარჩა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დღევანდელი კურთხევითი განზრახულია მეტეხის კლდის ძირში, ახალი ხიდის მიმდებარედ, წმ. აბოს სახელობის ეკლესიის აგება. 1994 წლიდან წმ. აბოს სახელობის ეკლესიის პროექტზე მუშაობა მიმდინარეობს **სამარტევილის საეკლესიო ხუროთმოძღვრების ცენტრში**. პროექტის ავტორია არქიტექტორი **რევაზ ჯანაშია**. კონსულტანტი-**დეკანოზი ბესარიონ მენაბდე**. ხელოვნებათმცოდნე **ქეთევან აბაშიძე**, ბიბლიოგრაფი **ი. გორგიშელი**. მშენებლობას აფინანსებს **დეკანოზების ოჯახი**. 1994 წ. პროექტზე მუშაობისას და წმიდა ნიშის მხატვრული იერსახისა და მისი მღვდნობის დასადგენად ძველი მასალების



მეტეხი XIX საუკუნის II ნახევარში წინა პლანზე კვეთრელის ქარვასლის გვერდით, ძველი მეტეხის ხიდის პირდაპირ (ამ ადგილზე იყო გადაებული მოწამეთა ხიდი) მოჩანს წმ. აბო თბილელის ნიშა.

იცის. ხუთუ ღირსი არაა წმიდა აბო, რომელიც ქალაქ თბილისის მფარველ ანგელოზად და მხურვალე მეოხად ითვლება, რომ ერთი მშენებელი შესაფერი ტაძარი აღშენებულ იქნეს ამ ქალაქში მის სახელზედ...“

„შორეულ მომავლის ქართველებიც პატივს ცემდნენ წმ. აბოს ხსენებას. ტარებიც კი იყო აშენებული მის სახელზე. მაგალითად პერეიში (აწინდელ საინჟინეროში). მაგრამ ის კი სირცხვილია ჩვენი ეროვნული თვალსაზრისით, რომ მისი სალოცავი ნიშა ძლივს მოჩანს მეტეხის კლდის ძირში, ეიწრო ქუჩაზე ჩაკეტივებულია პატარა საეკლესიო სახლებს შორის... ჩვენი მოვალეობაა, არ მივცეთ დაიწყებას არც ერთი გმირი, რომელიც წარსულში ჩვენი ეროვნული თვითშეგნების გადარჩევისას ემსახურებოდა... ყოველდღისადაც კი კორონმა ოდეს ის ქართლის ეპარქიაში მსახურობდა ალავერდის ეპისკოპოსის წოდებით. განიძარაა წმ. აბოს პატრონაჟად აღიარა მისი სახელის პატარა ტაძრის აშენება. საქმეს შეუდგა ჩვეულებრივი ენერჯით, მაგრამ საქართველოს მტრებმა მის მოღვაწეობას ქართველთა შორის ბოლო მოუღეს: ქართველი მღვდელმთავარი გადაიყვანეს ბალთაში ეპისკოპოსად, მას უკან მისი ნინეული პაზრი დაიწყებას მიეცა...“ (ი. ფერაძე, გაზეთი „საქართველო“ 1916, №7, 10 იანვარი).

1917-18 წლებში წმ. აბო თბილელის ეკლესიის მშენებლობისათვის თბილისის მორწმუნე მოქალაქეთა მოწოდება თბილელმა მიტროპოლიტმა **ლეონიდემ**: „...აბო საკუთარი წმინდანი, საკუთარი მცველი და მეოხა თბილისისა... კმარა დაუდგინოთ, დროა გამოიყვილოთ მისი დასაშავი და შეერთებული ძალ-ღონით ახლა მანაც ადამართოთ ეკლესია იმ ადგილზე სადაც წმ. აბოს სისხლი მორინად ეცხო თბილისის ნიადვას...“ (იხ. გაზეთი „ბურჯი ეროვნებისა“, 1997, №1 (18)) სამწუხაროდ, ეპისკოპოსი ლეონიდეს სურვილიც განუხორციელებელი დასასრული დასაწყისი იხ. **პგ. №2 1997 წ.**

სტატიის ავტორები მადლობას უხდებიან ხელოვნებათმცოდნე მიტო თუმანიშვილის, არქეოლოგ მერაბ ბნელაძეს და ისტორიკოს დავით ნინიძეს გაწეული დახმარებისათვის.

მეტეხის კლდე და ნიშა აბო თბილელის ნიშა


მომიხიბს, კლდის გოდებზე წყლის პირას, კლდე „შეკიდებული“ მცირე ზომის აგურის წყობამ მიიპროცურადღება. მომიხიბული ფოტოსაარქივო ტოპოგრაფიული მასალების შეჯერებით და გადახომებით იგი ძველი, XIX ს-ში აგებული, სამლოცველოს ნაწილი შეიძლება ყოფილიყო. ტერიტორია გაიწმინდა 3-4 მ ნაყოი მიწისაგან, რამაც ნაწილობრივ აღადგინა კლდის მასშტაბი და წარმოაჩინა სასწაულებრივ გადარჩენილი წმ. აბოს სამლოცველოს ნაშთი. იგი იმდენად სისხლნორცულად „შეუღლებულია“ კლდესთან, რომ მათი ურთიერთგანშორება ვერანაირმა აფეთქებამ ვერ შეძლო. გაუმყინდითი სამუშაოებისას, მოჭრილი ფიჭვის ხის გადახატვრზე ჯერის გამოსახულება აღმოჩნდა ამგვარად, უფაღმა თავისი ცხოველმყოფელი ძალი ხილულად გამოვიჩინა, მიწადანთქმული სამარტევილიდან თითქოსდა „ამოხუთა“ დაგროვიდნა სიწმინდემ და მის თავზე, ხის წილში, აღიბეჭდა ქრისტიანობის სიმბოლო - ჯვარი, ნიშის ძირში ასევე აღმოჩნდა მცირე ზომის ქვაბი, იქვე ახლოს კი - **მოწამეთა ხიდის ბურჯი**.

დღეისათვის იქ, სადაც წმინდანის ნაწილები დაწვეს, აგურით მკვიდრად ნაგები, ძველი სამლოცველოს ნაშთია შემორჩენილი (დაახლოებით 1 მ-ის სიმაღლეზე, როგორც ნაშთი და ძველი ფოტოსურათები გვიჩვენებენ, ეს იყო „პორტიკად“ წოდებული მცირე ზომის „ნაგებობა“, რომელიც გაფორმებული იყო რუსული კლასიციზტური ტიპის კარიბჭის სახით. მის ცენტრში სწორკუთხა შეღრმავება (128X107), როგორც ჩანს, ამ სადილეგო-სამარტევილეს აღნიშნავდა, ისტორიული უკუღმართობის შედეგად რომ დაზარალდა. წმ. აბო თბილელის მომავალი ტაძარი

პროექტით წარმოადგენს მცირე ზომის ორნავანი ტიპის ბაზილიკას (დაახ. 5X7), ორივე ნაგის გადახურვა ცალფერდაა, ტაძარი კლდეზე ურთდება და ბუნებრივად გადაიზრდება მასში. უწინ „პორტიკად“ წოდებული ნიშის ნაშთის წინ კარიბჭე-სამლოცველო შექმენით, რომელიც ქალაქისაკენ თაღით არის გახსნილი და მაყურებელს ნიშის ადგილს ცხადვით წარმოუჩენს. ნიშის წინ აღმოსავლეთი სისხლისფერი ქვა თაღის წინ ფერადობა აქცენტს შექმნის.

ჩვენი უპირველესი მიზანია წმ. აბოს ნიშის ნაშთის ახალ ტაძართან გამოიხილება და ამ კომპლექსის მეტეხის კლდის ისტორიულ განაშენიანებაში ორგანულად ჩართვა. ნაშთი „სამარტევილეს-სადილეგოსი“ იმ სახით, რის დაბურვევაც უფაღმა არ იხუთა, ხელუხლებლივ დაეტოვოთ (ცხადია, შესაბამისი გამაგრებით) და იგი ჩვენი პროექტის ხასიათის განმსაზღვრელ ბირთვად იქცა ეკლესიისხმობთ, კლდისა და წმ. სადილეგო-სამარტევილის ბუნებრივი ურთიერთმამართების, განუყოფლობის ხასიათის შენარჩუნებას.

ეკლესიის ტერიტორიას სამი მხრიდან „ბუნებრივი“ ხელუღები აკრავს: ჩრდილოეთიდან ხიდის კლდე, სამხრეთიდან- მეტეხის კლდე დასავლეთიდან - მდინარე მტკვარი, ხოლო აღმოსავლეთიდან სატაძრო სივრცე ჩაიკეტება „ხიდი-კარიბჭით“. ამგვარად, ტაძრის საკრალური არე ყოველივეს გაემოხება და დიდი ხიდი, მთელი მისი „ხმაურით“ ხუმთო დარჩება. იმ ადგილას, სადაც **მოწამეთა ხიდის ბურჯი** აღმოჩნდა და **ჯვარი პატოსანი** იყო აღმართული, კვლავ აღმართება **ჯვარი**. წმ. აბო თბილელის ეკლესიის მშენებლობის დამთავრების შემდეგ გამიხსნულია **ასი ათას მოწამეთა** სახელზე მცირე ზომის ტაძრის აგება.



წმ. აბო თბილელის ხატი და ეს ჯვარი დაბრძანებულია კრწანისის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში წმ. აბო თბილელის ტაძრის აშენებამდე

მან მეტეხის დეიოსმშობლის შობის სახელობის ეკლესიასა და წმ. აბო თბილელის ტაძრებს შორის შუალედური, მხატვრულ-კომპოზიციურად შემოერთებული სახე უნდა შექმნას.

წმ. აბო თბილელის ეკლესიის მშენებლობა დროებით შეჩერებულია, როგორც ჩანს, თბილისის მფარველის სახელობის ტაძრის აგება თბილისელთა განსაკუთრებულ სულოვრ და ფიზიკურ ღვაწლს ითხოვს.

დავანოზი ბესარიონი (მინაბაფი) მთავრან აბაშიძე ია ბორაბიშვილი რევაზ ჯანაშია

ჩვენი ენა ქართული

5 და (ვაჟა): „სამშობლოსათვის!“ - იძახდა იგი, თვალთაგან ცეცხლის ალთა მთოვარი (გ. ტაბიძე); მე შენ თვალთაგან ორი ია მგაღერსება (ა. აბაშელი); ლაშას თვალთაგან ცრემლები მოსწყდა (გ. აბაშიძე).

თანინი მრავლობითის მოქმედებით ბრუნვის არსებობას თანამედროვე ქართულში ადასტურებს ისიც, რომ ებიანი მრავლობითის თანდებულობის მოქმედებითს შეიძლება შევუნაცვლოთ თანინი მრავლობითი. მაგ.: ყოველ ენაში ბლომად მოიპოვება სხვა ენებიდან ნასესხები სიტყვები (არნ. ჩიქობავა); თ. რაზიკაშვილის მოთხრობებიდან პირველად დაიბეჭდა მისი „ისს ამბავი“ (ა. ლვინიაშვილი). შენაცვლებული „ენათაგან“ და „მოთხრობათაგან“ ისევეა მოქმედებითი ბრუნვა, როგორც „ენებიდან“ და „მოთხრობებიდან“.

თანინ მრავლობითში დასმული სახელის ბრუნვას ჩვეულებრივ ებიანი მრავლობითის შენაცვლებით ვარკვევთ. მაგ.: ფრინველთ (=ფრინველებმა) ხმა გაკინდღეს (ვაჟა); ფრინველთ (=ფრინველებს) სანეტარო დღე დაუდგათ (ვაჟა); ფრინველთა (=ფრინველების) გუნდი წამოიშალა (ვაჟა); იღუპება თესლი კეთილი, წინაპრთაგან (=წინაპრებისაგან) გადმონაცემი (ა. აბაშელი); მე შენსა შემაცქირაღსა თვალთაგან (=თვალეებიდან) მომდის მდულარე (ვაჟა).

ახლა მრავალთაგან დავასახელებთ თანინი მრავლობითის თანდებულობის მოქმედებითის რამდენიმე მაგალითს: აპა, იმ ღროთგან ერთი სახე ამოღებული, რომელნიც ერთად გეინატრია უცხოეთში ჩვენ (ილია); გგონია: ბინდი ვარსკვლავთაგან გემუდარება (გ. ტაბიძე); ვაჟთაგან მხოლოდ ერთმა არ უღალატა დედოფალს (ნ. ლორთქიფანიძე); ქრისტინან ქართველთაგან მხოლოდ გურულები გაუშვეს ახალციხიდან (მ. ჯავახიშვილი); ძველ ქართულში ორი რიცხვია, მხოლოდითი და მრავლობითი. ამათგან მრავლობითი ორი სახით არის წარმოდგენილი, რომელთაგანაც ერთია უფრო გაურცკლებული (ა. შანიძე); ქართულის ორ სპეციფიკურ ბრუნვათაგან ერთი - მოთხრობითი - აკუნატივის ადგილასა ჩასმული (ა. შანიძე); სემიტურ ენათაგან ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანია არსებული ენა (არნ. ჩიქობავა); თუ ამ ვარიანტთაგან ერთი უპირატესად მიიჩნევა, ხოლო მეორე დასაშვებად, ამ შემთხვევაში ფორმა მრგვალ ფრჩხილებშია მოთავსებული (ი. გივინიშვილი, ვ. თოფურია); აქ დაცულ წერილობით ძველთაგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ „ნო3“ (ზ. სარჯველაძე); გრაცში დაცულ ხელნაწერთაგან უმნიშვნელოვანესია ხანმეტი ლექციონარი (ზ. სარჯველაძე); ქარველურ ენათაგან ქართული უფრო მდიდარია თანდებულებით, ვიდრე ხანური და სვანური (ა. დავითიანი).

შეიძლება დავასკვნათ: თანინი მრავლობითის გან თანდებულობის მოქმედებითი არცთუ იშვიათად იხმარება ახალ ქართულში. უთანდებულო? თანინი მრავლობითის უთანდებულო მოქმედებითი ახალ ქართულში არ მოიპოვება, ოღონდ შეიძლება შეგვხვდეს ებიანი მრავლობითის ანალიტიკით სახელის რიცხვისა და ბრუნვის ნიშნის ფორმა ზმინიხედის ფუნქციით. მაგ.: ჩემო დაოო, ვიცო, რა სიყვარული და ტრფიალება გაქქს შენ და ჩემს ცოლსაო. წადი, ფეხთით მოუჯექი, იამება, შენ რომ გნახავს

(ილია): შეველი ისე ემორჩილებებოდა [ქალს], როგორც გრძნობიერი რამ: დაუწვა ფეხთით ცალ გვერდზე და მიანდო თავი (აკაკი).

თთა) მრავლობითის ნიშნად იშვიათად თანდებულობის ვითარებითშიც გვხვდება. თანინი მრავლობითის თანდებულობის ვითარებით, შეიძლება - ითქვას, თანამედროვე ქართულში გადმონაშთის სახით არის შემორჩენილი. მაგ.:

1. ზღვათამდე: ზღვიდან ზღვათამდე ზღვართა დამდებო, სამშობლოს მახვილს სხვიად მოება, - შენი ღიმილი, შენი ლეჩაქის წმინდა ნაჩრდილის უმანკოება (გ. ლეონიძე).

პირთამდე: შოგ აზრი აღარა წერია მაგივრად პირთამდე სავსეა პირუტყული შიშით (მ. ჯავახიშვილი); კიდეც დაუმატეს

პირთამდე გაივსო გოდორი, გაიძეჭვა (ნ. დუმბაძე); ბუდნიერებით პირთამდე სავსე მეფეს მკვდარებით ეძინა (გ. აბაშიძე).

3. ყელთამდე: ახლა თითქმის ყელთამდე ავიყვებ შენი დავალებით (ვაჟა); წყალში იდექი ყელთამდე (ი. გრიშაშვილი); ორმოსა თუ ჭაში ჩავარდა ყელთამდე (გ. ლეონიძე); მარჯვე მუხლი გაქქს, ნათელა, გული - ყელთამდე მდიდარი (ა.

ლეო ქვაჭავაძე
თანინი მრავლობითის
მოქმედებითი და
ვითარებითი ახალ
ქართულში

კალანდაძე).

4. ყურთამდე: განიერი სარკმელები ყურთამდე დაკლით (დ. შენგელაია); მეფუნდუკემ დარბაზის კარი ყურთამდე გამოალო (ჭ. ამირეჯიბი).

5. ცათამდე: ბალთან ძეგლია, ცათამდე ადის, (გ. ტაბიძე); მხრებით ცათამდე აზიდულან ვეება მთები (გ. ძნელაძე).

უთანდებულო ვითარებითა რიცხვისა და ბრუნვის ნიშნითა შემცველი „ყმათად“, რომელიც ვაჟას აქვს ნახმარი პოემა „აღლუდა ქეთელაურში“.

თანინი მოქმედებითი, როგორც გამოირკვა, საკმაოდ ხშირად იხმარება ახალ ქართულში, მაგრამ, მოუხედავად ამისა, ეს ფაქტი არ იყო შენიშნული. მიზეზი ამისა, ჩვენი აზრით, შემდეგია:

1. თანინი მრავლობითის უთანდებულო მოქმედებითი ახალ ქართულში არ გვხვდება, უთანდებულო თუ თანდებულობის ნათესაობითი კი ხშირად იხმარება. ამასთანავე, ამ ბრუნვათა გან თანდებულობის თანინი მრავლობითი ერთნაირია, ფორმა საზიაროა.

- 2. გან თანდებულობის ნათესაობითისა და მოქმედებითის მნიშვნელობა მკვეთრად არ არის ერთმანეთისაგან გამოიჯნული. მათი მნიშვნელობა ხშირად ისე ძალიან უახლოვდება ერთმანეთს, რომ თანინი მრავლობითის მოქმედებითს თითქოს შეიძლება შენაცვლოს ებიანი მრავლობითის ნათესაობითი. ამ სახელობით აიხსნება ისიც, რომ ერთი და იმავე ზმინის ფორმებთან ერთმა შეიძლება ნათესაობითი ბრუნვა იხმაროს, მეორე - მოქმედებითი, როგორც ეს თანდართულ მაგალითებშია.

ომარაშვილმა დაიხსნა გაჭირვებისაგან სასამართლო (ილია); - ამაზე უკეთესი რა იქნება, ბატონო! სწორედ დამიხსნა გაჭირვებიდან (ვ. ბარნოვი).

ყოველივე ამის შემდეგ არცაა გასაკვირი, მოქმედებითი ბრუნვა რომ ჩრდილში მოექცა და გან თანდებულობის თანინი მრავლობითის ყველა შემთხვევა ნათესაობით ბრუნვად იყო მიჩნეული.

რას ვასწავლით და როგორ...

გაზეთმა „ბურჯი ეროვნებისა“ 1995 წლის ივლისის ნომერში გამოაქვეყნა პროგრამა მისალენი გამოცდებისათვის ქართულ ენასა და ლიტერატურაში, სადაც შეტანილი იყო გარკვეული ცვლილებები. კერძოდ, საქართველოს განათლების სამინისტროსთან არსებულმა ლიტერატურის მეთოდსაბჭომ (გაუგებარია, რატომ უნდა იყოს ლიტერატურასა და ენაში მეთოდსაბჭო ცალ-ცალკე). მისაღები გამოცდების პროგრამაში შეიტანა ნ. ლორთქიფანიძის „მრისხანე ბატონი“, ლ. ქიაჩელის „ჰაკი აბა“, მ. ჯავახიშვილის „ღამბალო და ყაშა“.

ეს უკანასკნელი სკოლაში არ ისწავლებოდა. ამჟამადაც, სასკოლო პროგრამის მიხედვით „არსენა მარაბდილი“ უნდა ისწავლებოდეს. საინტერესოა, მეთოდსაბჭომ რა პრინციპით შეარჩია მაინც და მაინც ეს მოთხრობა და თუ შეარჩია, რატომღა უარყო? პედაგოგებს გეხდება მოძველებული პროგრამების ჩვენს ნებაზე და გემოვნებაზე გადამუშავება. 1991 წლის შემდეგ აღარაფერს შეუცვლია იგი. ამ ხუთი წლის მანძილზე კი იმდენი რამ ისე შეიცვალა, რომ უსათუოდ სჭირდება სკოლას ქართულ ენასა და ლიტერატურაში ახალი თემატიკის შეტანა. ხან „ღამბალო და ყაშას“ ვასწავლით და როცა ყველა აზოგვევა მოსწავლეთა იძულებითი დაინტერესება აღნიშნული მოთხრობით, „ჯაყოს ხიზნების“ თუ სხვა რომელიმე ნაწარმოების შესწავლით ვცდილობთ მწერლის სიდიადის ჩვენებას. „ღამბალო და ყაშას“ სირთულეს რომ თავი დაეანებოთ, მოსწავლის განწყობასაც ხომ ვერსად გაემკაცვით. უკვე მეორე სემესტრი დაიწყო, სასწავლო წლის ბოლომდე ცოტა დრო რჩება, მაღე, მისაღები გამოცდებით დაიწყება. ასეთ დროს კურონად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ დიდი ქართველი მწერლის, მ. ჯავახიშვილის მდიდარ შემოქმედებაში ვერ მოიძებნა ნაწარმოები, რომელსაც სკოლისა თუ მისაღები გამოცდების პროგრამაში შეიტანენ. მაღლობა ღმერთს, რომ

ნება მოგვეცა, საკუთარი სურვილით აეარჩიოთ დიდი მწერლის ნაწარმოები. ისე არ გაგვიგოთ, რომ „არსენა მარაბდილი“- რაიმეს ვუწუნებდეთ. უბრალოდ ისაა რომ მოსწავლეთა დღევანდელი ფსიქოლოგია ძნელად ეგუება ასეთი ვრცელი ნაწარმოების შესწავლას. მეორე თემატურად თანამედროვე ცხოვრებისა და პრობლემების შესატყვისი რამდენი რამ არსებობს ჯავახიშვილის შემოქმედებაში? აქედან გამომდინარე, გამოთქვამთ სურვილს: დროულად უნდა დაიხვეწოს სკოლის პროგრამა, კერძოდ, მ. ჯავახიშვილის შემოქმედების სწავლების საკითხი და ამის საფუძველზე დამუშავდეს მისაღები გამოცდების პროგრამა.

ანუ ქნელია შეჩვევა?

ყველა პედაგოგისათვის ცნობილია, რომ იმ მწერალთა შემოქმედების შესწავლა, რომლებიც არ არიან უმაღლესი სასწავლებლის მისაღები გამოცდების პროგრამაში, გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ეს ეხება ტტაბიძის, ი. გროზაშვილის, პ. იაშვილის, მ. ჯავახიშვილის და სხვათა შემოქმედების სწავლებას. (სწავლება იძულების წესით მიმდინარეობს და ცხადია, შედეგი არა აქვს. არადა როგორ შეიძლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ატესტატის მქონე ყმაწვილს არც კი ჰქონდეს გაგებული ამ პოეტთა სახელები, მხოლოდ იმიტომ, რომ არ სჭირდება მათი შემოქმედების შესწავლა. იკითხავეთ, რატომ? მიზეზი ერთია- არ არის შეტანილი მისაღები გამოცდების პროგრამაში. სკოლის პროგრამა და მისაღები გამოცდების პროგრამა ერთმანეთს არ უნდა სცილდებოდეს.

იქნებ ქართული ლიტერატურის მეთოდსაბჭომ იხრუნოს იმაზე, რომ ასეთი მწერლების შემოქმედების სწავლება მოწესრიგდეს.

მადონა ბარბოზა
მათა კოხიაშვილი
თბილისის 41-ე სკოლის პედაგოგები

„დედაენის“ შემდეგ პირველად წყებით სწავლებაში მოსწავლეთა მეორე წიგნი მათემატიკის სახელმძღვანელოა. ანგარიშთან ერთად, ისიც უეითარებს მოზარდს აზროვნებისა და მეტყველების უმარტივესი მსჯელობის უნარს. აქ არა მარტო მიმატება-გამოკლება არის, მასთან დაკავშირებულია საკმაო რაოდენობის აქტიური ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ერთეულის ათვისება. ორივე სახელმძღვანელო ერთად „ორპირი ხანჯალი“ და „საყოველთაო წიგნია, რომელშიც თავმოყრილია გონებით საუნჯე“ (ი. გოგებაშვილი). ბუნებრივია, მათი აგებაც თითქმის ერთსა და იმავე დიდაქტიკურ პრინციპებს ექვემდებარება: უწინარესად, უნდა იყოს „შეკუმშული“ და ტეკადი, მარტივი, სადა, სხარტი, დახვეწილი. ამიტომ არა მარტო პატარებისათვის, დიდებისთვისაც გასაოცარია პირველი კლასის მათემატიკის სახელმძღვანელოში, ანოტაციის ნაცვლად, ასეთი მიმართვა: „ძვირფასო ბავშვებო! ზოგიერთ ამოცანაში მითითებულმა ფასმა შეიძლება გაგაოცოთ,

«ბაპიკიანი» საპარჯიშობები, ანუ გაგაოცებთ და ხელს არ შეგიშლით

მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ისინი პირობითია.

ფეიქრობთ, ეს ხელს არ შეგიშლით მათემატიკის შესწავლისას. ავტორები (ი. რუხაძე, ნ. აბაკელია, ც. გომეზთელიანი, მათემატიკა, I კლასისათვის, III ნაწ., მესამე გამოცემა, 1996). გამოსი ოთხ წიგნად (?).

საინტერესოა თუ „ხელს არ შეუშლის“, რით დაეხმარება, ბავშვს, მაგალითად, ასეთი საეარჯიშოები, გვაქვს 1,2,3,5 კაპიკანი, როგორ გადაიხდი 9 კაპიკს და რა დაგრეზა?... ლევანს აქვს 1,5,3 კაპიკი, ნინოს- ამდენივე, რამდენი კაპიკი აქვს ნინოს? (გვ. 12)...

რა დაშავებოდა, სულ რომ ამოელოთ ამგვარი საეარჯიშოები და შეეცვალოთ უფრო რეალური (არაპირობითი) საეარჯიშოები? რატომ ვერ მოახერხეს ეს ოთხი გამოცემის მანძილზე? შავ ბაზარზე

ახლახან გამოჩნდა მეოთხე გამოცემა, რომელშიც მესამე და მეოთხე წიგნი (ნაწილი) შეერთებულია ისევ შეუსწორებლად. მაშინ, როცა თავისი გენიალური სახელმძღვანელო ი. გოგებაშვილს არც ერთხელ არ გამოუცია სრულიად უცვლელად.

ან რას მატებს მათემატიკის სახელმძღვანელოს ოთხკუთხედების, წიგნებისა და სხვა ფიგურების გაფრადება იმ დროს, როცა იქვე არის დავალებანი: „დაწერეთ რიცხვები ზრდადობის... კლე-ბაღობის მიხედვით“ (გვ. 9). „მოიგონეთ დავალება და შესრულეთ“. ისიც ხომ არ აჯობებდა, ერთი-ორი მაგალითის გარდა, ეს დავალებები შესრულონ საკლასო რეგულუმში და არა გაგაბალით იგი საეარჯიშო რეგულადაც? მსგავსი ზედმეტი ხაზების, ფიგურების, დავალებების, ამოცანებისა და სიმბოლიკებისაგან განტოროთითი სახელმძღვანელო მოცულობითაც ერთი-ორად შემცირდებოდა, უფრო სოლიდური და მიმზიდველი გახდებოდა...

ტიტო სულაბერიძე

სხვა გაზეთებიდან

ქართული ენის სინთეზისათვის

ქართული ენის სინთეზის, მისი, როგორც სახელმწიფო ენის დაცვის საკითხებს მიეძღვნა საქართველოს პარლამენტის სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტის გაფართოებული სხდომა, რომელიც 14 თებერვალს პარლამენტის სხდომათა დარბაზში გაიმართა.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, მეცნიერებათა აკადემიის, სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელები, ცნობილი მეცნიერები და მკვლევარები, საზოგადო მოღვაწენი, პარლამენტის წევრები.

სხდომას უძღვებოდა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ელდარ შენგელაია.

ურცელი მოხსენება ენის დაცვის საკითხებთან დაკავშირებით გააკეთა სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ მანანა გიგინეიშვილმა.

აღინიშნა, რომ ენა, რომელიც ერის სული-ერ ღირსებას წარმოადგენს, განსაკუთრებული და ყოველწლიური ზრუნვის საგანი უნდა იყოს. თუმცა, ენა მითხოვს განახლებას, ახალი ტერმინების შემოღებას, ამასთანავე საჭიროებს კონტროლს და დიდ სიფრთხილეს. განსაკუთრებით გაეყუა ხაზი იმ ფაქტს, რომ ბოლო წლებში მასობრივად იხერგება ბარბაროზები და კალკირება, რომელიც ენის დანაგვიანების ძირითადი საფრთხეა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ ენის დასაცავად ერი და ბერი ერთნაირად უნდა იღვწოდეს, რისი დასტურიცაა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ქართული ენის სახელმწიფო პალატის შექმნის თაობაზე.

„საქართველოს რესპუბლიკა“, 15 თებერვალი, 1997 წ.

დედაენის მოვლისათვის ინვესტიცია მუდამ მოგზავნიანია

რადგან საქართველოში დადგა დრო ენის საკითხებზე ასეთი მაღალი დონის ფორუმის მოწვევისა, დადგა დრო ქართული ენის მიმართ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების აღდგენა-შეერთებისა, უნდა ვთქვათ, რომ საქართველოში ცხოვრება წინ მიდის, მიდის უმჯობესობისკენ.

შშმობლიური ენის მიმართ ყურადღებას ჩვენში დიდი და ხანგრძლივი, საოცრად ორგანიზებული და სულიერი ტრადიცია აქვს 1978 წლის 14 აპრილის მუხტო წარსულის ძალითაც შედგა და მომავლის სურვილითაც. 1980 წელს ენის მოვლის სახელმწიფო დოკუმენტი, რომელიც ბევრი ძალზე მნიშვნელოვანი საქმის საფუძველი გახდა, 1989 წლის 25 აგვისტოს დამტკიცებული ქართული ენის სახელმწიფო პროგრამით დაგვირგინდა. შემდგომში მოუღწემა ცუდიც მოიტანა და კარგიც. ცუდი წარმავალია - ეკონომიკური სიღუპიერი, შინაური პრობლემების მივლი კომპლექსი: კარგი და გადამწყვეტი ისაა, რომ ქართული ენა დამოუკიდებელი, თავისუფალი ქვეყნის ენაა, რომლის ფუნქციონირების, მოვლისა და უზრუნველყოფილი არსებობის სრულიად ახალი ამოცანა და პერსპექტივა გააზრებას და ჩამოყალიბებას. მითხოვს ეს სახელმწიფო პროგრამა დიდი ხნის მუშაობის შედეგია, - მუშაობისა, რომელიც ქართველი ენათმეცნიერების დიდმა ჯგუფმა გასწია. ეს, ამჟამად გარკვეულად მიფიქებული პროგრამა თავისი სიღრმით და მასშტაბით უნიკალური პროგრამაა, ბევრ განვითარებულ ქვეყანას რომ შეშურდება. მისი გადახედვა საჭირო სწორედ ახალი სოციალურ-პოლიტიკური სტატუსის თვალსაზრისით, ქართული სახელმწიფოებრიობისა და მასთან ასე მჭიდროდ დაკავშირებული ენის ფუნქციონირების თვალსაზრისით. ქართულ ენათმეცნიერებას, თავისი დიდი პოტენციალის გამო, ძალა შესწევს სრულიად ზუსტად და ღრმად განსაზღვროს ახლებური ამოცანები ქართული ენის ფუნქციონირებისა. ეს

არავითარი აღმოჩენა არაა, ზომიერი მოდელი მოთხოვნებისა, მისი საგანმანათლებლო ასპექტი და ცხადი სურათი რა გვინდა, როგორი სოციო-ოლინგვისტური პოლიტიკა და მიზნები უნდა გატარდეს) უმთავრესი გასაცნობიერებელი საქმეა.

რეალური ქმედებანი, რეალური მუშაობა ბევრად ღირებულა, ვიდრე ენის კანონის მიღება და კანონის ამოქმედება. ძალიან ბევრ ქვეყანაში არავითარი ენის კანონი არ არსებობს და ეს არაფერს უშლის ხელს. მთავარია რეალობა და არა კანონის შექმნით გაჩენილ სირთულეებთან ბრძოლა. თუ ეს კერძო მოსაზრება მხედველობაში მიიღება, მაღლობელი დაეწევი.

თავისუფალ საქართველოში ქართული ენის მოვლის საქმე იწყება. ამას ფინანსური და მატერიალური გაზაგრება სჭირდება, ერთს შევნიშნავდი მხოლოდ - დედაენის მოვლა ის სფეროა ცხოვრებისა, სადაც ინვესტიცია არასდროს იკარგება. რაც უფრო მეტად და ერთობლივად გადაცნობიერებთ ამას, მით უკეთესი მოგება გვექნება ჩვენი ენის, ჩვენი კულტურის, ჩვენი მომავლის თვალსაზრისით.

ბიძე ბაბაშვილი
საქართველოს საგანგებო და სრულ-
უფლებიანი ელჩი გერმანიაში
„საქართველოს რესპუბლიკა“,
22 თებერვალი, 1997 წ.

როგორცაა - ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედების აუცილებლობის თაობაზე გახუთი „ბურჯი ეროვნებისა“ არავითარ ზის წერდა...
რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, 1995 წელს პარლამენტის მეცნიერებისა და განათლების კომისიამ მეცნიერთა ჯგუფთან ერთად განიხილა და შემოშუშა ახალი რედაქცია ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის სახელმწიფო პროგრამებისა. შემდეგ ეს პროგრამები გადაეცა მინისტრთა კაბინეტს. ამის შემდეგ ამ პროგრამების ბედი ჩვენთვის გაურკვეველია.

ინფორმაცია

1997 წლის 26 თებერვალს შესრულდა 110 წელი აკადემიკოს აკაკი შანიძის დაბადებიდან. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრამ ამ თარიღს მიუძღვნა სამეცნიერო სესია, რომელიც თსუ სხდომათა დარბაზში გაიმართა.

სამეცნიერო სესია შესავალი სიტყვით გახსნა და აკაკი შანიძის უდიდეს დამსახურებაზე ისაუბრა აკადემიკოსმა რ. მეტრეველმა. აკაკი შანიძის მეცნიერული ღვაწლის შესახებ მოხსენება წაიკითხა პროფ. კ. დანელიამ. სინას მთაზე ახლახან ჩატარებული ექსპედიციის შთაბეჭდილებები

დამსწრეთ გაუზიარა პროფ. მ. შანიძემ. სამეცნიერო მოხსენებები წაიკითხეს პროფ. ზ. კუმბურიძემ (ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულ გვარებში), პროფ. ზ. სარჯველაძემ (მცა ნაწილაკის ერთი ფუნქციონისათვის ძველ ქართულში), დოც. თ. ციტიშვილმა (იოანე პეტრიწის ბიოგრაფიის ერთი წყაროსათვის), ე. ბასილაშვილმა (ბოლნისის სიონის დავით ეპისკოპოსის მოსახსენებელი წარწერის ბოლოს მიწერილი ორი „ი“-ს მნიშვნელობის შესახებ) და მ. ბაბუხაიაძემ (ნ. მარის გლოტოგონიური თეორიის ექსტრალინგვისტური პარალელები).

1997 წლის 27 თებერვალს გაიმართა თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ინოვაციური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გაფართოებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა პროფ. ფარაოზ ერთელიშვილის ხსოვნას.

მოხსენებები წაიკითხეს ინოვაციური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის თანამშრომლებმა: ქ. გოდერძიშვილმა, მ. ბერიძემ, ს. მელიქიძემ, უ. სახლთხუციშვილმა, გ. ხორნაულმა, პ. ცხადაიამ.

სპირო

ანებათა



ორფეუსი და ევრიდიკე

(შეოთხე ნაწილი)

მდინარის პირას მყოფმა ორფევსმა ნავი შენიშნა. მიუახლოვდა და ქარონს სთხოვა, სულელებთან ერთად ისიც გადაეყვანა სტიქსის მეორე მხარეს. თან უხსნიდა, რომ ევრიდიკეს გარეშე მისთვის სიცოცხლეს აზრი არ ჰქონდა. მაგრამ ამ სიტყვებმა სულ არ იმოქმედა გულქვა მენავებზე, ქარონი მტკიცე უარზე იყო.

1. ერთი და იგივე აზრი შეიძლება სხვადასხვა სიტყვით გამოიხატოს. ხაზგასმული სიტყვების ნაცვლად ცარიელ უჯრეტში ჩაწერე იმავე მნიშვნელობის ის სიტყვები, რომლებიც მითის ტექსტშია.

მდინარის პირას მყოფმა ორფევსმა ნავი **ღაინახა**.

მდინარის პირას მყოფმა ორფევსმა ნავი

--	--	--	--	--	--	--	--

თან **განუმარტავდა**, რომ ევრიდიკეს გარეშე მისთვის სიცოცხლეს აზრი არ ჰქონდა.

თან

--	--	--	--	--	--	--	--

, რომ ევრიდიკეს გარეშე

მისთვის სიცოცხლეს აზრი არ ჰქონდა.

ქარონი მტკიცედ **უარობდა**.

ქარონი მტკიცე

--	--	--	--	--	--	--	--

--	--	--	--

შეამცნავითი თაგაში მართული ენის სახალისო ზონატიკის, ბრამატიკის, ლექსიკოლოგიისა და სტილისტიკის ელემენტებით.

2. **გულქვა** ითქმის ადამიანზე, ვისაც არაფერი ეცოდება. ასეთ ადამიანს უღმობელს, შეუბრალებელს, უწყალოსაც უწოდებენ. ჩვენს მითში ვინ არის სწორედ ასეთი?

--	--	--	--	--	--	--	--

3. შენ უკვე იცი, რომ ენაში მოიპოვება ისეთი სიტყვები, რომელთაც ერთნაირი ან მსგავსი მნიშვნელობა აქვთ. გაიხსენე თხოვნის გამომხატველი სიტყვები და შეაფასე ცარიელი უჯრები.

ორფევსი ქარონს

ს	თ	ხ	ო	მ	ს
---	---	---	---	---	---

ორფევსი ქარონს

მ	ხ						
---	---	--	--	--	--	--	--

ორფევსი ქარონს

მ	მ	მ	მ				
---	---	---	---	--	--	--	--

ორფევსი ქარონს

მ	მ	უ					
---	---	---	--	--	--	--	--

ერთნაირი ან მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვებს **სინონიმები** ეწოდება.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ორიდან ხუთამდე

* * *

საბავშვო ბაღის აღმზრდელი ბავშვებს უყვებოდა „წითელქუდას“:

“...ტყის მცველებმა ბებია და შეილიშეილი ჯანმრთელი და უვნებელი გამოიყვანეს”. - დაამთავრა თხრობა მასწავლებელმა.

პატარა მერბმა ჯერ ტაში შემოჰკრა, მერე კი გაკვირვებით იკითხა: - აკი ბებია ავად იყო?

* * *

თათა ფაფას არ ჭამს... ბაბუა ემუქრება:

- თათა, იცოდე, მე შეეჭამ შენს ფაფას.

თათა ხელებს ასავსავენს:

- არ შეეჭამო, ბაბუ, ცუდია!

* * *

ნანას დედა რუსულ სიტყვებს ასწავლიდა. ნანამ **мясо** ვერ დაიმახსოვრა. გაბრაზებულმა დედამ უთხრა:

- რით ვერ დაიმახსოვრე **мясо** - კედელზე ლურსმანი მაისო!”

ცოტა ხნის მერე დედამ ნანას ჰკითხა, ხორცი რუსულად როგორ იქნებაო. ნანამ მკვირცხლად მიუგო:

- დაასო!

* * *

სალამოს თამუნა საწოლში თოჯინას ათამაშებდა და არაფრით არ იძინებდა. ბებიამ საწოლზე ჩუმად მიუკაკუნა, იქნებ გაჩერდეს და დაიძინოსო.

- ნუ გეშინია, თოჯინავ, ბებო აკაკუნებს, - დაამშვიდა თამუნამ თოჯინა.

* * *

- ჭამე, თამუნა, სტაფილო, მაღალი გოგო იქნები, - ეუბნება ტანმორჩილი დედა თამუნას.

- დედა, შენს დროს არ იყო სტაფილო? - იკითხა თამუნამ.

* * *

ზაზა ეკითხება დედას:

- დედიკო, შენ რომ პატარა იყავი, ჩვენი დედა ვინ იყო?

წიგნიდან „მზის მწვანე შუქი“

კიდეკ მართი „ქართული ენის სახელმძღვანელო უცხოელთათვის“

გამოვიდა რუსუდან ასათიანის წიგნი „**ქართული ენის სახელმძღვანელო უცხოელებისათვის**“ (ინგლისურის მცოდნეობათვის). რედაქტორია აკადემიკოსი **თამაზ გამყრელიძე**. წიგნი გამოიცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის გრიფით. სახელმძღვანელო დაიბეჭდა საერთაშორისო ორგანიზაციის „World Vision International“-ის ხელშეწყობითა და დაფინანსებით.

წიგნში მოცემულია ქართული ასოები და მათი წარმოთქმა (გვ. 4), წერისა და კითხვის რვა გაკვეთილი (გვ. 7-19); ეს ნაწილი დასურათებულია. წიგნის ძირითადი ნაწილი ოცდარვა გაკვეთილისაგან შედგება. თითოეულ მათგანში ვხვდებით: ა) ყოველდღიური, ცხოვრების ამსახველ მოკლე დიალოგებსა და სპეციფიკურ ტექსტებს, ბ) ქართული ენის გრამატიკის წესების სქემებს, გ) პატარა ლექსებს, დ) ნაწყვეტებს ცნობილ ქართველ მწერალთა ნაწარმოებებიდან, რომლებიც შერჩეულია გაკვეთილში მოცემული გრამატიკული მასალის საილუსტრაციოდ და ე) სავარჯიშოებს.

წიგნის ბოლოს წარმოდგენილია ლექსიკონი, რომელშიც

სიტყვები იმ რიგითაა მოცემული, როგორცაც გაკვეთილებშია. აქვეა გრამატიკულ თემათა საძებელი (გვ. 141).

ანოტაციაში ვკითხულობთ, „წიგნი განკუთვნილია იმ ინგლისურენოვანი უცხოელებისათვის, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ქართული კულტურით, ცხოვრობენ, მუშაობენ ან მოგზაურობენ საქართველოში და სურთ ქართული ენის შესწავლა.“

სახელმძღვანელო იმგვარადაა შედგენილი რომ უცხოელს შეუძლია არა მხოლოდ დაეუფლოს ქართულ ენას, არამედ გაეცნობა ქართულ კულტურას, ისტორიას, ტრადიციებსა და ცხოვრების წესს.“

რ. ასათიანის ნაშრომი ტრადიციული სახელმძღვანელოებისაგან მეთოდოლოგურადაა განსხვავებული და მასში გამოჩნებით შერჩეული ტექსტები გამოჩნულია გრამატიკული მასალის ადეოლად შესწავლისათვის. დასაინათრომ პოლიგრაფიულად უფრო მაღალ დონეზე ვერ მოხერხდა წიგნის გამოცემა.

აღნიშნული წიგნით დაინტერესებულ პირებს თავისი შენიშვნები თუ აზრი სახელმძღვანელოს შესახებ შეუძლიათ მიწოდონ ავტორს შემდეგ მისამართზე თბილისი, 390079, ყაზბეგის ქ. 30, რუსუდან ასათიანი, ტელეფონი: 22-07-44.

დასაბეჭდად მზად არის პროფ. **ზურაბ სარჯველაძის** წიგნი „**ქველი ქართული ენა**“ (გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები, ლექსიკონი, დაახლოებით 38 ნაბეჭდი თაბახი).

წიგნი მომზადდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრასა და სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრაზე. რედაქტორია პროფ. კორნელი დანელია.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ წიგნი დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ ძველ ქართულ ენაში.

ტირაჟის დადგენისათვის გთხოვთ, მოგაწოდოთ თქვენი დაწესებულების შეკვეთა (წიგნის ღირებულება დამკვეთთათვის იქნება 8 (რვა) ლარი, 4 (ოთხი) ლარის წინასწარი გადახდით).

დაკვეთა გთხოვთ გააფორმოთ ა.წ. 20 მარტამდე დამკვეთები წიგნს მიიღებენ ივნისის პირველ ნახევარში.

წიგნის საბაზრო ღირებულება გაცილებით მეტი იქნება.


ყველა საკითხთან დაკავშირებით გთხოვთ, მიმართოთ სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის (380079, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №32) ქართული ენის კათედრას (ტელ. 23-12-83), ან სამეცნიერო ნაწილს (ტელ. 22-50-71); აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრას (ი. ჭავჭავაძის პრ. №1, I კორპუსი, 106-ე აუდ.).

გამოვიდა წმინდა **იოანე ოქროპირის** „**თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ**“. წიგნი II.

თარგმანი შესრულებულია წმ. ეფთვიმე მთაწმინდელის მიერ XI ს-ში. ტექსტი დაცულია ათონის ივერთა მონასტერში. წიგნი გამოსაცემად მოამზადეს თსუ ათონის ხელნაწერთა შემსწავლელი ლაბორატორიის „**ორონის**“ თანამშრომლებმა პროფესორ **მზეკლა შანიძის** რედაქტორობით.

გამომცემლები: **გ. წამბლაშვილი, თ. დედაბრიშვილი.**

ნიგნი ქართულ-ინგლისური ყოფითი თავისაზურებაჲს შესახებ



ჩვენი გაზეთის მკითხველთათვის ცნობილია (იხ. „ბე“ №2, 1997), რომ თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრის პროფესორის **ლილი გოქსაძის** ხელმძღვანელობითა და ავტორობით, მუშავდება თემა „ქართულ-ინგლისური ყოფითი თავისებურებანი“.

ახლახან მკითხველმა მიიღო პირველი წიგნი აღნიშნული ციკლისა. „ქართულ-ინგლისური ყოფითი თავისებურებანი“, რომელიც **თავაზიანობის ნორმებს** შეეხება. წიგნის ავტორები არიან **ლილი გოქსაძე** და **ირინა დემეტრაძე**. წიგნის მოკრძალებულ ანოტაციაში ვკითხულობთ: „დეკლარაციებამ მოიტანა ქართულ და ინგლისურენოვან ინდივიდთა და კოლექტივთა უფრო და უფრო მზარდი კონტაქტები, რაც ამ ენათა სრულყოფილად დაუფლებს აუცილებლობაშიც გამოიყვინდა. წინამდებარე წიგნის მიზანია თავაზიანი საუბრის ანუ ფატიკური კომუნიკაციის ნორმების კვლევა. განსაკუთრებით საყურადღებოა რჩევები ქართული თუ ინგლისური ენის შემსწავლელთათვის, რაც, ეფიქრობთ, დაეხმარება დაინტერესებულ პირთ.“

სარჩევის თვალის გადავლებაჲც კი ნათელს გახდის, თუ რა მნიშვნელოვანი საკითხებია წარმოდგენილი წიგნში:

შესავალში განხილულია ინგლისური ენის სოციალური დიალექტები და პრესტიჟის საკითხი; ცალკეულ თავებში ეძღვნება თემებს: თავაზიანი საუბარი და მისი ნორმები; ფატიკური კომუნიკაცია და სამეტყველო აქტების თეორია; ფატიკური კომუნიკაცია და გულწრფელობის ფაქტორი; ყოფითი შოკი და მისი აცილების ხერხები; რჩევები ინგლისური ენის შემსწავლელთათვის...

წიგნის რედაქტორია პროფ. **რუსუდან ერუქიძე**; დაიბეჭდა თბილისის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის გამომცემლობაში „**ნეკერი**“.

სამწუხაროდ, წიგნი მცირე ტირაჟით დაიბეჭდა (200 ცალი). მსურველებს წიგნის შეძენა შეუძლიათ თსუ V კორპუსში, ლექსიკოლოგიურ ცენტრში.